754/2 № 14823

ეროვნული თავისუფლების გზით – კიროვნული თავისუფლებისაკენ
კიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს. №4 (1776) 2 აპრილი, 2002 • ფასი 50 თეთრი

## რა კაცია თბილისის პოლიციის ახალი შეფი ლევან მაისურაძე?!



3 გვერდი

## „ზვიადის პარლამენტის" მიღწევები



საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რომელსაც ხალხმა „ზვიადის პარლამენტი" უწოდა, თავისი 14 თვის არსებობის მანძილზე საქართველოს სამი ისტორიული ღვაწლი დასდო. პირველი. მან გააუქმა რუსი ბოლშევიკი ოკუპანტების მიერ გამოგონილი და შექმნილი „სამხრეთ ოსეთი", რომელიც საქართველოს ტერიტორიის მიტაცებისათვის იყო განკუთვნილი სამომავლოდ. მეორე. ჩაატარა საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ასმა პროცენტმა ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. მესამე. მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მოსკოვის მიერ მართულმა ხროვამ, რომელიც საქართველოს უკვე ათი წელია მართავს, ამ სამ ისტორიულ მონაპოვარს ძვრა ვერ უყო, თუმცა ძალიან ცდილობს, რომ შეძრას — ერთი მაინც. მას იმედიც და დავალებაც აქვს, რომ ამ ამოცანის გადაჭრა მოასწროს მის ხელთ (მისი აზრით) ჯერ კიდევ დარჩენილ სახელისუფლებო ვადაში. მან ეს ვერ უნდა შეძლოს! ეს საქართველოს ყველა მამულიშვილის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

## ჩერნობილის ავარიის მსხვერპლნი

### რა ვითარებაა საქართველოში?

4

## „ახალგაზრდობამ ათწლიანი შესვენების შემდეგ საკუთარი სიტყვა უნდა თქვას ერის წინაშე"

მეორე გვერდი

## რა ძუნწი ყოფილა ჭყონია?

„ე.წ. ბიზნესმენის ჭყონიას მიერ წამოყენებული წინადადება პრეზიდენტისათვის კიდევ 2 წლით საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივების შესახებ ცინიკურია და მოწმობს, რომ საქართველოს არ ჰყავს ლეგიტიმური პრეზიდენტი, ის მხოლოდ ქვეყანაში გამეფებული კორუმპირებული კლანური მაფიის ხელმძღვანელია", - განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა. იგი საქართველოს პრეზიდენტის სიკვდილამდე თავის პოსტზე დარჩენის წინადადებით გამოდის. კერვალიშვილის თქმით, შევარდნაძე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია და მისი პოლიტიკური წინამორბედების სტალინის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს, ანდროპოვის და სხვების მსგავსად სიკვდილამდე თავის პოსტზე უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეს ბიზნესმენები არც ისე ხელგაშლილი ხალხია. თორემ ჭყონია ასეთ სიძუნწეს არ გამოიჩენდა და პრეზიდენტისთვის მხოლოდ ორ წელს არ გაიმეტებდა.

## გურამ საღარაძე თეატრზე, აზარტზე...

მეცხრე გვერდი



## „დამიჯერეთ, პოლიტიკაში, კულუარებში გაცილებით მეტი რამ წყდება, ვიდრე ტელეეკრანიდან"...

მეორე გვერდი

## ვის და რატომ აღელვებს სტილისტ საშას ორსქესიანობა?!

9

## ტიციანის ქალიშვილი მამის უკანასკნელ დღეებს იხსენებს

მეხუთე გვერდი

## ზურაბ ანჯაფარიძის წარმატების საიდუმლო მისმა დღიურებმა გაამჟღავნა



მეხუთე გვერდი

## ამბავნარი

## AES-თელასი ვეღარ „გაძღა“?

AES-თელასი ხელისუფლებას ახალ მოთხოვნებს უყენებს. ამჯერად კომპანია მფლობელობაში „თბოელექტროცენტრალის“ გენერაციის გადაცემას მოითხოვს, რომელზეც 40 ათასი აბონენტია მიბმული. ასევე მოითხოვს გასულ წლებში სომხეთიდან იმპორტირებულ ენერგიაზე დაწესებული შეღავათების ამოქმედებას. კერძოდ, იმპორტირებული ენერგია გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან. როგორც ამბობენ, ამ მოთხოვნებით მალე მიმართავენ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას. კაცი იფიქრებს, AES-თელასს კუჭის მაგივრად უძირო ქვევრი უდგასო. ვერც და ვერ გაძღა ჩვენი ობიექტების მისაკუთრებით, თანაც ყველაფერი „ხელშეკრულების პროექტით“ გამართლებულია. ხომ არ სჯობდა მოსახლეობის ნერვებზე თამაშს, ერთხელ და სამუდამოდ მიეცათ ყველაფერი, რაც „ხელშეკრულების პროექტით“ იყო გათვალისწინებული და დაგვესვენა?! ნურას უკაცრავად, ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, დრო რომ ყველაფრის მკურნალია და ამის გამოა ასე ნელ-ნელა რომ უნაწილებენ ქვეყნის საკუთრებას მტაცებელ კომპანიას. აბა, სავარძლებს ხომ არ შესწირავდნენ თელასის სულსწრაფი ინტერესების შესრულებას?

## წკიპურტები

### საქართველოში ზვიად გამსახურდიას პირველი ძეგლი იდგმება



მართალია, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, როგორი იქნება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძეგლი და არც ის, თუ როდის დასრულდება, მაგრამ დასაწყისისთვის ისიც ბევრს ნიშნავს, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ცნობილია, რომ ძეგლი ზუგდიდში დაიდგმება. ამ მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ გახლავთ.

### კაზინოს მეპატრონეები ჰაერით არ სუნთქავენ?!

ქალაქის ხელისუფლებამ მოსახლეობასთან ბრძოლის ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა, როგორც ჩანს.

— იმ ადგილზე, სადაც მშენებლობები აკრძალულია, წინასწარ ახმობენ ხეებს და შემდეგ ამ ტერიტორიებს იყენებენ ახალი ნაგებობებისთვის — აცხადებს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე, გიორგი გაჩეჩილაძე.

„თბილისის ფარგლებში ამოეწურათ კაზინოებისა და რესტორნებისათვის საჭირო ტერიტორია და ახლა ბოტანიკურ ბაღსა და მდინარე მტკვარშიც შეიჭრნენ“, — ამბობს იგი.

თბილისის ტერიტორიაზე უამრავი ავარიული სახლია, რომელთა შესყიდვა და დანგრეული სახლების ადგილზე ახლების აშენება, თავისუფლად შეუძლიათ ბიზნესმენებს, მაგრამ ამ გზას არ მიმართავენ. მათ, ეტყობათ, ტყეების განადგურება ურჩევნიათ! წყნეთში, საეჭვო ვითარებაში, ძირდამწვარ ხეებს ბოტანიკური ბაღის ზედა ტერიტორიაზე განადგურებული ხეებიც მიემატა, რაც განგაშის ატეხვის აუცილებლობაზე მიუთითებს. ისე, საკითხავია, კაზინოს მეპატრონეები ჰაერით არ სუნთქავენ, ტყე-პარკების განადგურებას რომ მიჰყვეს ხელი?

### კერძო დეტექტივები სავალალო ვითარებას შექმნიან

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დიდი ხმაურით მიმდინარეობდა „კეძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა. პროექტი სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ წევრმა ვახტანგ გვარამიამ წარმოადგინა. კანონპროექტის წინააღმდეგია შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. იგი გამოთქვამს პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ კანონპროექტში არაფერია ჩაწერილი სამართალწარმოებაში დეტექტივის სტატუსზე და მის როლზე. მისივე აზრით, დღეისათვის სახელმწიფოს არ გააჩნია საექსპერტო ბაზა დიდი რაოდენობის იარაღის აღრიცხვისათვის. იმ შემთხვევაში, თუ იარაღი სათანადოდ ვერ აღირიცხა, შეიძლება ძალიან სავალალო ვითარება შეიქმნას. მინისტრი თვლის, რომ არ არის გამორიცხული, ამ კანონპროექტის მიღება აუცილებელი გახდეს, თუმცა ამ ეტაპზე მისი დამტკიცება შეუძლებელია. პარლამენტი კანონპროექტის განხილვას საღამოს სხდომაზე დაუბრუნდება.

### ჩვენი პარლამენტის მკაცრი განცხადებები რუსეთს გულს უხეთქავს?!



საქართველოდან ბაზების გაყვანას არ ვაპირებთო — რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ამ განცხადებამ ნინო ბურჯანაძის შეშფოთება გამოიწვია.

— ეს, ელემენტარულად, საერთაშორისო ნორმების დარღვევა და სუვერენიტეტის ხელყოფაა. ივანოვის ამგვარი განცხადება არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე და მიიჩნევს, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მას მკაცრი განცხადებითვე უნდა უპასუხოს.

რუსეთს, ალბათ, შიშით გული გაუსკდება ჩვენი პარლამენტის საპასუხო განცხადების გაცნობის შემდეგ. მით უფრო მაშინ, თუ ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთთან დახუჭობანას და „კუკუდამალობანას“ თამაშს თავი არ დაანება.

**მასალები მომზადებულია სააგენტო „გეას“ ინფორმაციის მიხედვით**

## რა კაცია თბილისის პოლიციის ახალი შეფი ლევან მაისურაძე?!

თბილისის პოლიციის შეფის სავარძელი ისეთი სისწრაფით „ივსება“ და თავისუფლდება ამ ბოლო დროს, იმდენი სკანდალი და აურზაური უკავშირდება მას და მასში მოკალათებულ ჩინოსნებს, საზოგადოებას თვეობით ჰყოფნის „თავშესაქცევად“. სოსო ალავიძის, კახა ბაკურაძის სახელებს ამ დღეებში კიდევ ერთი ლევან მაი-



სურაძეც მიემატა. ეს უკანასკნელი იმდენად კარგი რეპუტაციით სარგებლობს საზოგადოებაში, ბევრს გაუკვირდა კიდეც, ქალაქის პოლიციის შეფობას როგორ დასთახმდაო. წავა თუ არა „გასვრილი“ ამ თანამდებობიდან ჩვენი რესპოდენტი, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი გვინდა, მივულოცოთ ბატონ ლევანს წარმატებები და აქვე გავარკვიოთ, ვინ არის იგი, რით მოვიდა ამ სიმაღლეზე და რა ქონებით წასვლას აპირებს.

**— ბატონო ლევან, კახა ბაკურაძის პირველი ნაბიჯი თბილისის პოლიციის შეფად მოსვლის შემდეგ არაბი ბიზნესმენების გათავისუფლება გახლდათ. ამ იდუმალებით მოცული საქმის გახსნით მან საზოგადოებას, ასე ვთქვათ, „კოჭი გაუგორა“, რათა სიმპათია დაემსახურებინა. თქვენ რით აპირებთ საქმის დაწყებას?**

— კონკრეტულ იდეებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. მე საქმის კეთება მაქვს დაგეგმილი. რას და როგორ მოვიმოქმედებ, მე მომავალი მაჩვენებს, თქვენ კი — შედეგი. ფაქტობრივად, დღეს ჩემი მუშაობის პირველი დღეა, ამიტომ კონკრეტულ და გლობალურ გეგმებზე საუბარს არ მოვყვები, უხერხულიც კია.

**— თქვენმა წინამორბედმა კოლეგებმა სავარძელი საკმაოდ სკანდალურად დატოვეს. თქვენ ახალგაზრდა ხართ და კარგი რეპუტაციით სარგებლობთ. რისკის ქვეშ ხომ არ დააყენეთ მშვენივრად დაწყებული კარიერა?**

— მე არანაკლებ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ვიმუშავე. თუნდაც ბოლო წლებში თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს უფროს გახლდით, შემდეგ კი საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი. პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ. დღეს კიდევ უფრო მეტად გავუფრთხილდები საკუთარ ავტორიტეტს. რადგან შს სამინისტროს საბჭომ ჩემი ამ თანამდებობაზე დამტკიცება გადაწყვიტა, მაქსიმალურად ვეცდები, მათი ნდობა გავამართლო და ჩემი რეპუტაცია შევინარჩუნო.

**— გამოდის, ადვილად დათანხმდით შემოთავაზებულ წინადადებას და გადაწყვეტილების მიღება არ გაგჭირვებიათ?**

— საერთოდ, ნებისმიერი ნაბიჯი და მით უფრო, თანამდებობაზე წასვლა ადამიანს ავალდებულებს, კარგად განსაჯოს, გააანალიზოს ის სირთულეები, პრობლემები, რასთან შეჭიდებაც მოუხდება. გადაწყვეტილება შეუძლებელია, ადვილად მიმეღო. რადგან შსს საბჭომ ჩემი კანდიდატურა ერთხმად წამოაყენა, მე როგორც პოლიციელი, ვალდებული ვარ, ყველა ღონე ვიხმარო, რათა ჩემი მოღვაწეობა შედეგიანი აღმოჩნდეს.

**— უკვე წარმოდგენილი გაქვთ, როგორი იქნება პოლიცია ცოტა ხნის შემდეგ?**

— საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების სარეფორმო კომისია მუშაობს. რეფორმის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდება ის სტრუქტურა, რომელიც მისაღები იქნება პოლიციისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, ისე როგორც ეს განვითარებულ ქვეყანას შეეფერება. ვიმედოვნებ, დახვეწილი სისტემა შეიქმნება.

**— პოლიციელები ჩვენთან არანაკლებ დანაშაულს ჩადიან, ვიდრე ბოროტმოქმედები, ვისაც ისინი იჭერენ. ამის აღმოფხვრა, მგონი, არც ისე ადვილი უნდა იყოს.**

— პირველი რის გაკეთებასაც ვაპირებ, სწორედ ეს გახლავთ. საქართველოში ადამიანის უფლებები არ უნდა ირღვეოდეს... ერთ რამეში კი ვერ დაგეთანხმებით, არაერთი ფაქტია, როცა პოლიციელები დანაშაულისთვის ისჯებიან და დაკავებული თანამდებობიდან თავისუფლდებიან. ეს უკვე საქმეა, არა?!

**— საქმეს პოლიციელები სხვასაც ბევრს გვაჩვენებენ. თუნდაც თქვენს სავარძელზე ამბობენ, ვინც აქ მოდის, უკან სრა-სასახლეებით ბრუნდებაო. თქვენ ცდუნებას გაუძლებთ?**

— არც დიდი ავლადიდებით მოვსულვარ და არც სასახლეებით წასვლას ვაპირებ. ეს გამორიცხულია. მე იმ ადამიანთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვინც თანამდებობას ამ ნიშნით აფასებს.

დასამალი არაფერი მაქვს. ჩემი ქონება დეკლალირებულია. წავალ იმით, რითაც მოვედი.

**— წარმატების მისაღწევად საქართველოში რაა საჭირო?**

— ნიჭი, გონიერება, პროფესიონალიზმი.

**— „ზურგი“? საკუთარ გამოცდილებას ხომ არ გაგვიზიარებთ?**

— ვერ დაგეთანხმებით, თავისი გზა ყველამ თვითონ უნდა განვლოს. მხარზე არავის უნდა ჩამოეკიდო და სხვის ზურგს არ უნდა ამოეფარო. ადამიანმა თავისი ცხორებით უნდა იაროს და საკუთარი ნიჭი და პროფესიონალიზმი უკეთეს შედეგს მოუტანს.

**— მაინც არ გვეტყვით, რა კაცია ლევან მაისურაძე?**

— როგორ გითხრათ, საკუთარი თავის შეფასება ძნელია და თანაც უხერხული. სხვებმა შემაფასონ, უპრიანი იქნება.

**ლია რეხვიაშვილი**

P.S. ჩემი რესპონდენტის ბოლო ფრაზებმა ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ გამახსენა. „უკეთუ მაღლა ასვლა გსურს, ისარგებლე საკუთარი ფეხებით. ნებას ნუ მისცემთ წაგილონ, ნუ შეჯდები სხვის თავსა და ზურგს! შენ ცხენზე შეჯექი? ან სწრაფად მიჰქრი შენი მიზნისაკენ?.. შენი კოჭლი ფეხიც შენთან ერთად ზის ცხენზე!... შენი ცხენიდან ჩამოხტები შენი სიმაღლით... ფეხს წამოჰკრავ!“ ბატონო ლევან, კვლავაც თქვენი ნაბიჯებით გაგეგრძელებიოთ სიმაღლეების დაპყრობა და ფეხიც არსად წამოგეკრათ.




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

## „ახალგაზრდობამ ათწლიანი შესვენების შემდეგ საკუთარი სიტყვა უნდა თქვას ერის წინაშე“

9 აპრილს პარლამენტის შენობის წინ მრავალათასიანი მიტინგია დაგეგმილი...

პარლამენტართა გამუდმებული მუშტი-კრივებით თავმობეზრებულ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიების რიცხვი უფრო და უფრო მატულობს. მიუხედავად იდეათა სხვაობისა, ყველას ერთი ამოძრავებს — არსებული ხელისუფლების დამხობა მშვიდობიანი ძალით!

მიზნის მისაღწევად თითოეული პოლიტიკური პარტია „თავისებურ“ მოდელს გვთავაზობს.

ამჟამად ჩვენი გაზეთის სტუმარია სტუდენტურ-ახალგაზრდული პოლიტიკური მოძრაობა „თანხმობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დიმიტრი ომანაძე, რომელმაც ამ მოძრაობაში ჩაბმული ახალგაზრდობის პოლიტიკური პოზიცია გაგვაცნო:

— 2001 წლის მიწურულში ჩამოვყალიბდით. ეს არის ძირითადად სტუდენტურ-ახალგაზრდული ბირთვი. დღეს ჩვენი მოძრაობა ითვლის 1000-მდე წევრს. გვაქვს ფილიალები ზუგდიდში, ქუთაისში, სენაკში, ფოთში, წყალტუბოსა და რუსთავში. ჩვენი პოლიტიკური პოზიციაა, დავაფიქსიროთ უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში მოქმედი პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობის მიმართ. მათ მთელი ათი წლის მანძილზე ვერ შეძლეს, რომ ჩვენი ქვეყანა გამხდარიყო სამართლებრივი სახელმწიფო. ხელისუფლების ანტიეროვნულმა პოლიტიკამ ტერიტორიული დაშლის პირამდე მიგვიყვანა. არსებობს უამრავი სხვა პრობლემაც, რის გამოც ახალგაზრდობამ გადაწყვიტეთ, ათწლიანი შესვენების შემდეგ საკუთარი სიტყვა ვთქვათ ქვეყნისა და ერის წინაშე.

**— კონკრეტულად, რა მოთხოვნები გაქვთ?**

— ჩვენი მოძრაობა არის პროქართული ორიენტაციის მატარებელი და ითხოვს საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და დღევანდელი ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადაყენებას. ეს ხელისუფლება, როგორც მარიონეტი, რუსეთის მიერ დასმული, ჩვენი ერის ინტერესებს არ გამოხატავს. ასევე, ჩვენი მოძრაობა გმობს ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ამერიკელი ინსტრუქტორების შემოყვანას. ვთვლით, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ამერიკის სპეცრაზმი აფხაზეთში შეეყვანათ. ყველაზე დიდი ტერორიზმი აფხაზეთში განხორციელდა და ტერორისტებთან ბრძოლაც იქიდან უნდა დაიწყოს.

**— არსებობის ამ მცირე მანძილზე ძირითადად რა გაკეთდა თქვენი მოძრაობის მიერ. როგორ ფიქრობთ, რამდენად მყარად გაქვთ ფესვები?**

— ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გვქონდა კონსულტაციები საქართველოში წარმოდგენილ თითქმის ყველა ეროვნულ ძალასთან იმის მოთხოვნით, რომ შექმნილიყო ეროვნული კონგრესის მსგავსი ორგანო და ეროვნულ ძალებს ერთიანი სტრატეგიით ებრძოლათ ხელისუფლების შესაცვლელად. სამწუხაროდ, შედეგი ვერ მივიღეთ. როცა დავრწმუნდით, რომ ეროვნული ძალების უმეტესობა პირადი ამბიციებისათვის იბრძვის და არა ქვეყნის გადასარჩენად, ახალგაზრდებმა ჩვენს ხელში ავიღეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი.

2 აპრილს ჩვენი მოძრაობა დამფუძნებელ ყრილობას ატარებს კინოთეატრ „ივერიის“ დარბაზში, სადაც ვრცლად გამოიხატება ახალგაზრდული პარტიის მიზანი და ამოცანები.

9 აპრილს პარლამენტის შენობის წინ მრავალათასიან მიტინგს ვგეგმავთ. იქნება ორი მოთხოვნა: გადადგეს საქართველოს პრეზიდენტი და „მოქალაქეთა კავშირი“ დამნაშავე ორგანიზაციად გამოცხადდეს.

ამასთანავე, ვთვლით, რომ საქართველო არ უნდა გადაიქცეს რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების პოლიგონად. ეს არის ჩვენი მოძრაობის ძირითადი მიზანი.

**მარი ჩიტაია**

## მოვლენათა კვალდაკვალ



# ვისი მოწყობილია ტერორისტული აქტები აფხაზეთში?!

### ინტერვიუ აფხაზეთის უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილესთან ვიტალი მიხელიძესთან

27 მარტი ავად გათენდა აფხაზეთში. თანმიმდევრობითა და დიდი ოსტატობით განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს მსხვერპლი მოჰყვა, არიან დაზარალებულნიც. ხალხი პანიკაშია. პირველი, ვინც აფხაზურმა მხარემ მომხდარში დაადანაშაულა და ამხილა, ქართული მხარეა. დღეს ჩვენს საზოგადოებაშიც ვნებათაღელვაა და ერთნაირად აინტერესებს ყველას, ვისი მოწყობილია ტერორისტული აქტები აფხაზეთში? ბუნებრივია, არის შიშიც, რომ შესაძლოა მოვლენათა ჯაჭვი ავად გადაესკვნას ერთმანეთს და პროვოკაცია საომარი მოქმედებების გაგრძელების საბაბი გახდეს.

ზუსტი პასუხისაგან ძალოვანი სტრუქტურები თავს იკავებენ. ამ შემთხვევაში არც. ჩემი რესპოდენტია გამონაკლისი. აფხაზეთის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, ვიტალი მიხელიძე, თავის ინტერვიუში კატეგორიულად უარყოფს ქართული მხარის მონაწილეობას მომხდარ ტრაგედიაში.

**— ბატონო ვიტალი, უკანასკნელ პერიოდში ბევრს საუბრობდნენ აფხაზეთში მოსალოდნელ პროვოკაციაზე. ფაქტია, ტრაგედია მოხდა. დღეს მთელ საზოგადოებას აინტერესებს, ვისი მოწყობილია ეს?**

— აფხაზებთან მიმართებაში, იგივე რუსებთან დამოკიდებულებაში, ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, რომ აქ ნებისმიერ ქმედებას შეიძლება პოლიტიკური სარჩული დაედოს. ალბათ, იმიტომაც, რომ ეს ყველაფერი არსებული პოლიტიკის შედეგია. ჩვენს საზოგადოებაში თვითონ პროვოკაციებზე საუბარი იმდენად გახშირდა, რომ გვინდა თუ არ გვინდა, ყველა ბრუნვაში ვატრიალებთ ამ ტერმინს. პროვოკაციას აქვს გარკვეული მიზანი და ის უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ ლოგიკას. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს აფხაზურმა მხარემ, რომ ეს ქართველების გაკეთებულია, თუ სათანადო არგუმენტი არა აქვს, ვარაუდის დონეზე საუბარი, ამ შემთხვევაში აბსურდია. მე, როგორც უშიშროების წარმომადგენელი, გამოვრიცხავ ქართული მხარის მონაწილეობას მომხდარში. უკაცრავად და, თუ ვინმე თავქარიანმა დამოუკიდებლად (ვარაუდის დონეზე ვლაპარაკობ), ეს გააკეთა, ყოველგვარი გათვლის გარეშე, ის მტერია. ცხადია, ნებისმიერმა ქმედებამ უნდა გამოიღოს შედეგი და არა უკუქმედება.

**— გარკვეულმა პოლიტიკურმა წრეებმა მომხდარი ფაქტი ამერიკელების მიერ გაწვრთნილ ქართველ სამხედროებს დაუკავშირეს. ამის შესაძლებლობა არ გამოურიცხავს აჭარის ლიდერს. თქვენი კომენტარი გვაინტერესებს.**

— დღევანდელ სიტუაციაში იმის მტკიცება, რომ იქ ამერიკელების გაწვრთნილ სამხედროებს ჩაედინათ დანაშაული, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა. ვითარებას ვაანალიზებ და ვამბობ, რომელი ჭკუათმყოფი ჩაატარებდა ასეთ აქციას აფხაზეთში? ხედავთ, რა რეზონანსიც მოჰყვა. აქ არ არის საუბარი ვალერი არშბას განცხადებაზე. არ ყოფილა არც ერთი უბედური შემთხვევა, რომ ჩვენი მხარისათვის არ დაებრალებინათ. გავიხსენოთ ვორონოვისა და არშბას მკვლელობა. საბოლოო ჯამში, ვორონოვის მკვლელები რომ დააპატიმრეს, აღმოჩნდა ერთი ჩეჩენი, ერთი აფხაზი და ერთი ადიღეელი. ამ შემთხვევაშიც, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ ქართველებს მიაწერენ დანაშაულს. ამერიკელების გაწვრთნილ სამხედროებზე საუბარი იმდენად უსაფუძვლოა, რომ ასეთ ნათქვამზე კომენტარის გაკეთებაც, პირადად ჩემთვის უხერხულია.

**— ბატონო ვიტალი, ალბათ, დამეთანხმებით, დანაშაული იმდენად მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ გამორიცხულია, უბრალოდ „თავქარიანის" მოქმედებასთან გვქონდეს საქმე. სხვათა შორის, არც პარტიზანების მონაწილეობას გამორიცხავენ...**

— რამდენადაც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, პარტიზანები ამ ზონაში და ამ სიშორეზე დაფიქსირებულები არ არიან.

**— რატომ, მათ არა აქვთ სათანადო უნარი, რომ ასეთი ტერაქტები განახორციელონ აფხაზეთის სიღრმეში?**

— არა, შეღწევაზე საუბარი არა მაქვს. პარტიზანებმა თუ ოჩამჩირეში ვერ შეაღწიეს, მაშინ მათ ყველაფერზე უნდა აიღონ ხელი. მე, უბრალოდ, ვაფიქსირებ იმ ინფორმაციას, რომ იმ ზონაში, ენგურს იქით არავითარი დაჯგუფებები არ ყოფილა.

**— როგორც ვიცით, აფხაზებმა საკითხი დააყენეს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე. ამ შემთხვევაში ქართულ მხარეს რა კონტრარგუმენტების წაყენება შეუძლია?**

— ქართველებს, ალბათ, არ მოუხდებათ იმის მტკიცება, რომ ტერაქტები მათი ჩადენილი არ არის. ჩვენ უკვე გავაკეთეთ განცხადება — მე, როგორც სპეცსამსახურის წარმომადგენელი, ვამბობ და ამაზე პასუხსაც ვაგებ, რომ სპეცსამსახურს მომხდართან არანაირი შეხების წერტილი არ გააჩნია. რაც შეეხება მტკიცებას, ეს უკვე აფხაზურმა მხარემ უნდა დაამტკიცოს. წარმოადგინოს ფაქტები, რაღაც კონკრეტული ნივთმტკიცება, რომ დანაშაული ქართველებმა ჩაიდინეს. ბუნებრივია, ვერც დაამტკიცებენ, რადგან ჩვენს მხარეს ამ შემთხვევაში არანაირი დანაშაული არ მიუძღვის.

**— ბატონო ვიტალი, როგორ შეიძლება განვითარდეს სცენარი? შეიძლება თუ არა, ვთქვათ, რომ აფხაზეთში შესაძლებელია საომარი მოქმედებების გაგრძელება?**

— ვფიქრობ, რომ სიტუაცია არ გართულდება. ხვალ რაღაც უბედურება დაიწყებაო, ამის საფუძველი არ არსებობს. თავისთავად უბედურებაა ფაქტი, რომ დაიღუპა ხალხი, არიან დაზარალებულები. გამომდინარე აქედან, არ არის გამორიცხული, მიიღონ გარკვეული ზომები. მითუმეტეს, დღეს აფხაზები ღიად აცხადებენ, რომ ტერაქტები ქართული მხარის მოწყობილია, მათ უკან დგანან სპეცსამსახურები და მხარს უჭერს ხელისუფლება. იქ არის მშვიდობიანი მოსახლეობა და არ გამოვრიცხავ აქციების ჩატარების მომენტს. ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებზე საუბარი არ არის. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ შეიძლება ომი გაჩაღდეს. დღესდღეობით დაძაბული ვითარებაა, აი, მაგალითად, 28 მარტს აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა ჭუბურხინჯში ოთხმხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, ენგურს გაღმა რუსებმა თავიანთი საგუშაგოები გააძლიერეს და ა.შ. შეიძლება, ეს იყოს ის შემთხვევა, როცა მინდა სასურველი რეალობად აღვიქვა.

**მარი ჩიტაია**




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

## გიორგი კობახიძე:



# „დამერწმუნეთ, პოლიტიკაში, კულუარებში გაცილებით მეტი რამ წყდება, ვიდრე ტელეეკრანიდან"...

**— ბატონო გიორგი, მას შემდეგ რაც ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი გახდით და „სახალხო პარტიას" განუდექით, პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში დაბრუნების გზა თუ იპოვეთ? თქვენი ძირითადი ბრალდება მამუკა გიორგაძის მისამართით სწორედ ის გახლდათ, რომ მან პოლიტიკური პროცესების მიღმა დატოვა პარტია.**

— რასაკვირველია, ჩვენ ამ გზის ძებნა ახლა არ დაგვიწყია. სახალხო პარტიაში ყოფნის პერიოდშიც ვთავაზობდით საერთო შემადგენლობას ჩვენს წინადადებებს. გვაქვს განსაზღვრული გეგმა. ესაა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან ჩვენი დამოკიდებულება, გამოსავალი გზები. ჩვენი მუშაობის მეორე მხარე პარტნიორებთან ურთიერთობაა — ხოლო მესამე მხარე, რომელსაც ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, შიდაორგანიზაციული საკითხები, სტრუქტურის დამყარება და ადგილობრივი სუბიექტების გაძლიერებაა. როდის დაინიშნება თვითმმართველობის არჩევნები, იმის მიხედვით განისაზღვრება მუშაობის ინტენსივობის ხარისხი და ის, თუ როგორ მოვახერხებთ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში დაბრუნებას.

**— ბევრს მიაჩნია, რომ თქვენი პარტიიდან წასვლის მიზეზი პირადი ამბიცია და პირველობის სურვილი გახლდათ. უპრიანია, საქმით გამოჩნდეს, რომ ეს ასე არ არის. ამ მხრივ გადადგმული თქვენი პირველი ნაბიჯები როგორია?**

— ეს ვერსია, თქვენ წარმოიდგინეთ, ჟურნალისტებისგანაც კი არ მოდიოდა. ეს არის იმ ნაწილიდან წამოსული, რომელიც დღეს „სახალხო პარტიის" სახელით საქმიანობს. პარტია აშკარად იყო თავისთვის შეუფერებელ ადგილზე, რასაც თამაშგარე მდგომარეობა ჰქვია. ეს იყო ჩემთვის აუტანელი და მიუღებელი. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების 2/3-ზე მეტი იმ „ძველი" პარტიიდან გაწევრიანებულია ქრისტიან-დემოკრატიულ ალიანსში, რომელთაგან ძალიან სერიოზული წარმომადგენლობაა ჩართული ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში. ყველა რეგიონში, საკრებულოში გვყავს ჩვენი სერიოზული წარმომადგენლები, რომლებიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობენ. კრიზისიდან გამოსვლის ჩვენეული ხედვა არაერთხელ ჩამომიყალიბებია. 1998 წელს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით, კონსულტაციები დავიწყე ამ თემაზე პრეზიდენტ შევარდნაძესთან. რაც დრო გადის, ეს პოზიცია მით უფრო მყარდება ჩემში. პრეზიდენტმა გამოსავალი რეალურ პოლიტიკურ ძალთა სამთავრობო კოალიციის შექმნაში უნდა ეძებოს, რადგან ის ნაკლი, რაც დღევანდელ ხელისუფლებას გააჩნია — კანონის უზენაესობის პრინციპის დაუმკვიდრებლობა, მთლიანად მოშლილი შიდა კონტროლი სახელმწიფოში, ეროვნული თანხმობის მიუღწეველ ოცნებად დარჩენა — ეს ყველაფერი კოალიციური მთავრობის შექმნის შემთხვევაში, სასიკეთოდ შემობრუნდება. თითოეული მინისტრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უფრო მაღალ ხარისხში — პარტიულში გადავა. მოგეხსენებათ, პოლიტიკის სუბიექტი მხოლოდ და მხოლოდ პარტია შეიძლება იყოს და არა ვინმე პიროვნება — ასეა დამკვიდრებული ჩვენთვის მისაბაძ დასავლეთში. შიდა კონტროლის გაზრდა კანონის უზენაესობის პრინციპის მუშაობას იწვევს. ყველა პარტია დაინტერესებულია თავისი წარმომადგენლობა გაზარდოს და მაქსიმალურად სწორად იმუშაოს მისმა მინისტრმა, სამაგიეროდ სხვისი მინისტრის არასწორ მუშაობაზე პირდაპირი რეაქცია აქვს. ეს არის ჩვეულებრივი კონკურენცია, რომელიც ყოველთვის კარგ შედეგს იძლევა. რაც შეეხება ეროვნულ თანხმობას, ყველაზე მთავარ თემას, ის უნდა მოდიოდეს ზემოდან. თუ არ არსებობს პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის თანხმობა, არ იარსებებს ის ხალხშიც. მაგალითიც და განწყობის შემქმნელიც ხელისუფლება და პოლიტიკური ორგანიზაციები უნდა იყოს. ის ყველაფერი, რაც დღეს კეთდება, ყალბია და მხოლოდ ლოზუნგის დონეზე რჩება. ყველა ორგანიზაცია კარგად ხედავს, რომ დადგა ერთგვარი „გამსხვილების" პერიოდი მსოფლმხედველობების საფუძველზე და ბოლოს და ბოლოს ორ-სამ ძალამდე დავა მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს პოლიტიკური ტრიბუნა და ეს მუშაობა შეიძლება არ ჩანდეს, რადგან ძირითადად მაინც კულუარულ ხასიათს ატარებს; თუმცა დამერწმუნეთ, პოლიტიკაში კულუარებში გაცილებით მეტი რამ წყდება, ვიდრე ტელე ეკრანიდან.

**— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით ამერიკის სამხედრო კონტიგენტის საქართველოში შემოსვლას? მაგალითად, ირაკლი წერეთელს „ნატვრა აუხდა" და ახლა აცხადებს „პოლიტიკურ პარტიებს ნამუსი თუ აქვთ, ჩვენს წინაშე ქედი უნდა მოიდრიკონო", მოგწონთ იდეა, რომ საქართველო აშშ-ს პოლიგონად იქცეს?**

— ჩვენი დამოკიდებულება არ უნდა გადადიოდეს ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ჩვენ ვამბობდით, რომ რუსეთი საშიში სახელმწიფოა, რადგან მთლიანად მისი გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. არ შეიძლება პირდაპირ ლაპარაკი, კარგია ამერიკა და მისი გავლენის ქვეშ უნდა ვიყოთო. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა — საქართველო იქცეს საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტად. ობიექტის მდგომარეობაში ყოფნა უკვე უნდა დამთავრდეს. ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ორმხრივ მოთხოვნებზე უნდა იყოს დაფუძნებული. უნდა ვეცადოთ, აქედან დიდი შედეგი მივიღოთ. ჩვენ თუ ზუსტად იგივე დამოკიდებულებას ვიქონიებთ ამერიკელების შემოსვლისადმი, რაც გვქონდა რუსული პოლიტიკის მიმართ, ელემენტარულად, კრემლი შეიცვლება კაპიტოლიუმად, ანუ ვიზუალური მხარე და აბრევიატურა სრულიად განსხვავებული იქნება, დანარჩენი იგივე დარჩება. მივესალმები დახმარებებს, წვრთნებს, წმინდა ტექნიკურ აღჭურვილობაში მხარდაჭერას, მაგრამ ამის გამო მათ არ უნდა მივცეთ მთავრობის დაკომპლექტების უფლება. არჩევნების გაყალბებაში დახმარების შესაძლებლობის მიცემა მათთვის, ვინც სასურველ პოლიტიკას გაატარებს, ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. მე არც თუ შეუფარავი აქცენტები გავაკეთე ბოლო ორ არჩევნებზე, როდესაც საერთაშორისო აზრი აშკარად არაადეკვატური იყო იმისა, რაც ქვეყანაში ხდებოდა. არჩევნები გაყალბდა დაახლოებით 70%-ით და ამ დროს იგივე ამერიკის ადმინისტრაცია მიესალმა „მოქალაქეთა კავშირის" და პრეზიდენტ შევარდნაძის გამარჯვებას. ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთის მხრიდან რა რეაქცია მოჰყვება საქართველოსადმი ამერიკის „დახმარებებს"? თქვენი პროგნოზით როგორ განვითარდება მოვლენები?**

— ბუნებრივია, მწვავე რეაქცია მოჰყვება და რუსეთისთვის არ იქნება სასიამოვნო, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩვენი ნაბიჯების გამნსაზღვრელი. უნდა გვქონდეს გეგმა, ორიენტაცია, სადაც ყველა ნაბიჯი გათვლილი იქნება, ისიც კი, რა უკურეაქციები, რა გვერდითი მოვლენები ექნება. ეს ნაბიჯი დღეს ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის გადაიდგა იმისთვის, რათა შევარდნაძემ მოიგოს „მოქალაქეთა კავშირში" შიდა ბრძოლა, ანუ აჩვენოს საზოგადოებას როგორც გარეთ, ისე შიგნით, რომ ის უფრო პროამერიკულია, ვიდრე სააკაშვილი და ჟვანია. კონკრეტული ჯაჭვის სახით გრძელვადიანი ურთიერთობა არ ჩანს. ეს არის ჩემთვის ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულების მიზეზი.

**მარი გოგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტური გამოძიება

# ჩერნობილის ავარიის მსხვერპლნი

## რა ვითარებაა საქართველოში?

ჟურნალისტური გამოძიება გაზეთ „საქართველოს" მიერ გრძელდება. კონკრეტული შედეგების სურათი და დამნაშავეთა ვინაობა გამოიკვეთა. რა ვითარებაა საქართველოში ჩერნობილის ავარიის შემდეგ — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ბევრი სპეციალისტი თავს არიდებს. პასუხისმგებლობას ყველა გაურბის და სიმართლის ხმამაღლა თქმას ბევრი ერიდება. არადა, ცნობილია, რომ საქართველოში 1986 წელს დაფიქსირებული „ლაქები" თანაზომადი იყო ჩერნობილის ავარიის ეპიცენტრის პერიფერიაზე ანუ დაახლოებით 30 კილომეტრიანი რადიუსის გარეთ დაფიქსირებული „ლაქებისა". აქედან გამომდინარე, საქართველოშიც იგივე სურათი უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოში რადიოეკოლოგიურ სიტუაციაზე ჩერნობილის კატასტროფის გავლენის შედეგების შესახებ სპეციალური უწყებათშორისი სამთავრობო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „ტაიფუნის" (ქ. ობნინსკი) მიერ შედგენილი რუქა წარმოადგენს თვალსაჩინო დოკუმენტს უკიდურესად არახელსაყრელი ვითარების შესახებ: ამიერკავკასიაში ავარიის პროდუქების შეღწევამ გამოიწვია რადიოაქტიურობის ფონის გაზრდა ქ. ბათუმში 500 000-ჯერ, კოლხიდის პუნქტებში — 100 000-ჯერ, აფხაზეთის პუნქტებში — 50 000-ჯერ". ეს მაჩვენებლები დაფიქსირებულია ავარიიდან ერთი კვირის შემდეგ.

წერტილოვანი გამოსხივების რადიაციული წყარო საშინელებაა, მაგრამ იგი გარემოს არ აბინძურებს, თუ მოაცილებ — ჩადებ კონტეინერში და შეინახავ საცავში. აი, რადიაციული ლაქები კი გარემოს აბინძურებს და მოსახლეობისთვის ძალიან საშიშია. დროთა განმავლობაში გამოსხივების ინტენსივობა კი მცირდება, მაგრამ იგი კიდევ უფრო საშიში ხდება ნიადაგებში რადიონუკლეიდების გაფანტვის გამო.

— დარწმუნებული ვარ, დასავლეთი საქართველო ამჟამადაც დაბინძურებულია ჩერნობილის აეს-ის ავარიის შედეგად. მიუხედავად რადიონუკლეიდების გარემოში დიფუზიისა, რაც აუცილებლად მოხდებოდა 16 წლის მანძილზე, არ შეიძლება რადიაციული დაბინძურება საქართველოში ნორმის ფარგლებში იყოს.

1991 წელს მე ვხელმძღვანელობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ექსპედიციას, რომელმაც შეისწავლა სოხუმისა და გულრიფშის რაიონების რადიაციული დაბინძურების მდგომარეობა. ხელახლა დაფიქსირდა გამოსხივების მაღალი ინტენსივობის „ლაქები", თუმცა მოიკლო ინტენსივობამ 1986 წელთან შედარებით. ე. ი. მოხდა დიფუზია. მიუხედავად ამისა, ავარიიდან 5 წლის შემდეგ მაინც აღინიშნებოდა ფონის მომატება 20-ჯერ და მეტად. აფხაზეთის ვითარება უშუალოდ ავარიის შემდეგ იდენტური იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსი. აჭარაშიც იგივე სურათი იყო, — ამბობს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი — ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ზურაბ კერესელიძე.

1986 წლის შემდეგ როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო დასავლეთ საქართველოს დაბინძურების სურათი — ამ კითხვით სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ვალტერ კაშიასაც მივმართეთ. იგი ადასტურებს, რომ საქართველოში ვითარება არ შეცვლილა.

„1991 წელს ჩვენ განმეორებით ჩავატარეთ გაზომვები და პრაქტიკულად ყველაფერი იგივე იყო, ე. ი. არაფერი შეცვლილა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მთელ რიგ საკონტროლო წერტილებში ნიადაგში ცეზიუმ-137-ის შემცველობა 1990-91 წლებში 9 თვის მანძილზე უცვლელი იყო, მიუხედავად ძლიერი, ხანგრძლივი წვიმებისა, რაც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდისათვის.



ეს ბელორუსი ბიჭუნა დაიბადა 1987 წელს, ჩერნობილის ავარიიდან ერთი წლის შემდეგ. ამ ფოტოზე იგი 4 წლისაა. შემდგომი მისი ბედი ჩვენთვის უცნობია.

ეს იმაზე მეტყველებს, რომ წითელი მიწა, თიხა და ლამიანი ნიადაგი შეიცავს ცეზიუმის ძირითადად მცირედხსნად ქიმიურ ნაერთს".

რატომ არა ჩანს რადიაციული „ლაქები" სოფლის მეურნეობის რადიოლოგიის ინსტიტუტის (დირექტორი ჯ. მანჯგალაძე იყო) მიერ ჩატარებულ კვლევებში, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. რადიაციული „ლაქების" არსებობა არც ატენისის (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო) აერორადიოლოგიურმა გადაღებებმა აჩვენა 2001 წელს. რატომ?

— რატომ და აღარ არის, მართლა აღარ არის. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ინტენსიური ნალექები, მიდის ბუნებრივი გარეცხვა, განმენდა, — რატომღაც საპირისპიროს ამტკიცებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიაციული ბიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფესორი მარატ ციცქიშვილი.

რამდენად ზუსტია ეს მონაცემები? შეიძლებოდა თუ არა ატენისი ყოფილიყო დაინტერესებული აერორადიოლოგიური გადაღებების შედეგებში არ ეჩვენებინა ნამდვილი სურათი რადიაციული დაბინძურების შესახებ? ვის აწყობდა ეს? ამგვარი კითხვების ადრესატი ამჯერად მეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი კონსულტანტი რადიაციული კვლევის დარგში, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტი ჯემალ მანჯგალაძე გახლავთ.

— აერორადიოლოგიური გადაღებების შედეგებში საქართველოს რადიაციული დაბინძურების შესახებ ნამდვილი სურათის შეცვლაში ატენისს ბრალი ნამდვილად არ მიუძღვის. დაზარალებული ქვეყნისათვის ზარალის ასანაზღაურებელი თანხები უნდა გამოყოფილიყო. რადგანაც დაბინძურების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობდა, რუსეთმა შეძლო, საქართველოს ბლოკირება მოეხდინა და კავკასიის მხარე დაზარალებულ რესპუბლიკათა სიაში საერთოდ არ მოხვედრილა. ასე აწყობდა და იმიტომ — აცხადებს ჯემალ მანჯგალაძე.

რა კეთდებოდა ამ წლებში (1986-2002), რადიაციის შემდეგ საქართველოს მხრიდან იმისათვის, რომ საქართველო აღიარებული ყოფილიყო როგორც დაზარალებული?

ვის ევალებოდა ბრძოლა ამ მიმართულებით?

ვის უნდა ეზრუნა სარეაბილიტაციო თანხების მოზიდვაზე?

— ბრძოლა ამ მიმართულებით ევალებოდა სახელმწიფოს და იმ ორგანოებს, რომლებიც საერთოდ საგანგებო სიტუაციებს განაგებენ რესპუბლიკაში. ეს არის სახელმწიფო უშიშროება. რადგან ჩვენი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკუთვნოდა, ჩერნობილის გამოკვლევებში მონაწილეობის მიღება ჩვენც დაგვავალეს, იქიდან დაბრუნებულებს კი ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად ჩვენი ტერიტორიების შემოწმება უნდა მოგვეხდინა — ამბობს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გივი მაჭარაშვილი.

კაცი იფიქრებს, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სეირის მაყურებლის როლს თამაშობდა მთელი ამ ხნის მანძილზე?!

— რამდენიმე უწყებას შორის მიდიოდა დავა. ამ მიმართულებით ღონისძიებები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უნდა გაეტარებინა თუ გარემოს დაცვის სამინისტროს. ერთი ერთს ამტკიცებდა, მეორე — მეორეს. პრაქტიკულად, არცერთს არაფერი გაუკეთებია. ძირითადად საქმიანობას ჩვენი ინსტიტუტი ეწეოდა. პირველადი გამოკვლევები 1986 წელს ჩატარდა. რადგან აპარატურა სრულყოფილი არ გვქონდა, მიზანს ბოლომდე ვერ მივაღწიეთ. გარკვეულ ტერიტორიებზე დაბინძურება 5 კიურამდე ადიოდა, ჩვენ მის ლიკვიდაციას ვაწარმოებდით. 1997 წელს საერთაშორისო სააგენტოდან მივიღეთ თანხმობა, რომ გამოკვლევები ისევ ჩაგვეტარებინა, მაგრამ ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩერნობილის პრობლემებზე აღარავინ საუბრობდა.

მე უშუალო კონტაქტი მქონდა ატენისთან. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველოში რადიაციული „ლაქების" არსებობის უარმყოფელი დასკვნები მას ნამდვილად არ გაუკეთებია. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ჩვენმა მეცნიერებამ, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროებმა სათანადოდ ვერ იმუშავეს. საქართველოს დაბინძურების შესახებ ზუსტი მონაცემები საზღვარგარეთის სხვადასხვა გამოცემებისათვის სწორედ მათ უნდა მიეწოდებინათ. რატომღაც ამ საკითხს ყურადღება არ მიაქციეს. 1997 წელს პირადად მე რამდენიმე მონაცემი გავაგზავნე, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, — გვითხრა ჯემალ მანჯგალაძემ.

ზემოხსნებული ვითარებიდან გამომდინარე, ალბათ, დარწმუნდება მკითხველი, რომ საქართველო უეჭველად უნდა შესულიყო იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებელი თანხებით დახმარებას ექვემდებარებოდნენ.

რამდენად საჭირო და აუცილებელი გახლდათ ამ დახმარების მიღება, ეს ჩერნობილის აეს-ის აფეთქების შედეგად მიღებული ზიანის დეტალური ასახვის შემდეგ თავად განსაჯეთ. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ჟურნალისტური გამოძიების ამ შედეგებს კი მკითხველს შემდეგ ნომერში შევთავაზებთ.

## შევარდნაძისთვის საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივება დაუშვებელია

– ეს მოთხოვნა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ დათრგუნვის და უცხო ქვეყნის სასარგებლოდ მისი ღალატის მცდელობა. ჭყონია, რომელმაც ეს განზარხვა სხვებზე მეტად გააზმოვანა, კომპრადორია. იგი, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, მხოლოდ პარაზიტია, რომელიც საზოგადოებისათვის სრულებით არასაჭირო პროდუქციას ქმნის და მუშტრის ჯიბიდან ამოტყუებული ფულის ნაწილი უცხოელთან მიაქვს. შევარდნაძის ფერება მისი მხრიდან მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი პოლიტიკური „სახურავისა" და საგადასახადო შეღავათების გარეშე ბიზნესს ვერ ეწევა – აცხადებს „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე.

## სოხუმსა და ცხინვალს კოორდინაცია აკლიათ

აფხაზურ ხელისუფლებას ჯერ არ დაკავშირებია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა „საქართველოდან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ" ერთობლივი კონსულტაციების გამართვის თაობაზე. ამის შესახებ გეა-სთან საუბრისას ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა განაცხადა. მისი თქმით, ცხინვალის მთავრობამ აფხაზური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ანრი ჯერგენიას განცხადების თაობაზე საინფორმაციო საშუალებებით შეიტყო, აქედან გამომდინარე კონსულტაციების ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ შეთანხმებაც არ არსებობს. „რესპუბლიკაში სიტუაცია მშვიდია, თუმცა გარკვეული შიში მოსალოდნელი საფრთხის გამო მაინც არსებობს. ჩვენ პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე ვართ", - აღნიშნა ჯიოევმა.

*გეა*

## დასხივებული ჯარისკაცები დახმარებას ითხოვენ

ლილოს სამხედრო ბაზაზე დასხივებული 11 ჯარისკაცის სასამართლო პროცესი საოლქო სასამართლოში ადვოკატთა გამოუცხადებლობის გამო 20 მაისისთვის გადაიდო. დასხივებული ჯარისკაცები სახელმწიფოსგან 20 მლნ დოლარს ითხოვენ. პროცესზე მოპასუხე მხარედ წარმოდგენილია ჯანდაცვის, თავდაცვის, გარემოს დაცვის სამინისტროები და სასაზღვრო დეპარტამენტი.

ჯარისკაცები 1997 წელს ლილოს სასწავლო ბაზაზე წვრთნების განხორციელებისას დასხივდნენ. მათგან 4 საფრანგეთში, ხოლო 7 გერმანიაში მკურნალობდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. მკურნალობის თანხა, 2,5 მლნ აშშ დოლარი მთლიანად ამ ქვეყნებმა დაფარეს. ჯარისკაცების განცხადებით, მათ ყოველდღიური მკურნალობა ესაჭიროებათ, რისთვისაც თანხებს სახელმწიფოსგან მოითხოვენ.

*გეა*

## უკვდავი სახეები

# ზურაბ ანჯაფარიძის წარმატების საიდუმლო მისმა დღიურებმა გაამჟღავნა

ქართველებს სხვათაგან განსხვავებით ერთი საოცარი თვისება გაგვაჩნია — გამორჩენილი, დიდბუნებოვანი მამულიშვილების სიყვარულში ერი ვერ გვაჯობებს! რაც არ უნდა მოხდეს, რჩეულ შვილებს ხელიდან ვერ წაგვაცლის დავიწყება. აქ ჟამის სიმრავლეც ვერას ხდება.

ზურაბ ანჯაფარიძე ქართველთა რჩეულთაგანია. ყველა თაობისათვის ერთნაირად ძვირფასი და ახლობელი, ამიტომ უწოდეს ასე თამამად და ასე უბრალოდ, „ჩვენი ზურაბი“!



„როდესაც სცენაზე დგახარ და მღერი, უნდა დააჯერო თავი, რომ ღმერთებს ელაპარაკები“ — უთქვამს დღიურში და მართლაც მხოლოდ თავისი დაულალავი შემოქმედებითი წვით შეძლო ზებუნებრივთან მიახლოება. თითქოს ღვთიური ცეცხლი უნდა ჩამოეტანა ამ ცოდვილ მიწაზე. ალბათ, ეს იყო მისი წარმატების საიდუმლოც. ასე მონუსხა დიდი ნიჭის თაყვანისმცემლები...

ამასწინათ ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ზურაბ ანჯაფარიძის ფონდისა და თბილისის მერიის კულტურის სამსახურის მიერ ორგანიზებული კონცერტი. იქ შეკრებილმა საზოგადოებამ ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი იზეიმა. ეს იყო ერის სულიერი ზეიმი. სწორედ აქ, ამ სცენაზე ნახევარი საუკუნის წინ სახელგანთქმულმა ქართველმა მომღერალმა ბრწყინვალედ შეასრულა აბესალომის პარტია ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. ეს გახდა მისი პირველი დიდი წარმატება საოპერო ხელოვნების გზაზე.

ზურაბ ანჯაფარიძის პიროვნებაზე და სასცენო მოღვაწეობაზე მოგვითხრობს მისი მეგობარი, ბატონი ნიკო ხატიაშვილი. ის, ვისაც სიცოცხლეშივე უდიდეს პატივს სცემდა მომღერალი, — ეს გახლავთ ადამიანი, რომელსაც ზურაბის აღსასრულმა აიღებინა ხელში კალამი, ავტორი მისდამი პირველი ბიოგრაფიული წიგნისა „ჩემი მეგობარი ზურაბ ანჯაფარიძე“.

ბატონი ნიკო საუბარს არცთუ შორეული წარსულის ერთი დაუვიწყარი საღამოთი იწყებს:

— ჩემი თაობის თბილისელებს დღესაც ახსოვთ 1952 წლის 3 მარტი, დაუვიწყარი საღამო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ზურაბ ანჯაფარიძემ შეუდარებლად შეასრულა აბესალომის პარტია. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის კონსერვატორიის მაშინდელ დირექტორს, კომპოზიტორსა და დირიჟორს, ბატონ გრიგოლ კილაძეს, ცნობილ თეატრალურ და სამუსიკო რეჟისორს, ბატონ შოთა ასაბაძესა და მის საფიცარ პედაგოგს ბატონ დავით ანდღულაძეს. ზურაბმა იმ საღამოს ისე შესანიშნავად იმღერა და ითამაშა, იმედი ჩაუსახა თბილისის საოპერო თეატრის მოყვარულ საზოგადოებას, რომ მის სახით საუკეთესო ცვლა ეზრდებოდა მშობლიურ ხელოვნებას.

ამასწინათ გამართულ საღამოზე იყვნენ ისინიც, რომლებმაც 50 წლის წინათ პირველად იხილეს ამ სცენაზე ზურაბი. საღამოს ალამაზებდა ისიც, რომ მას ვესწრებოდით ამ დროისათვის მისი ცოცხლად დარჩენილი, თითზე ჩამოსათვლელი თანაკლასელები, ახლა უკვე ჭარმაგი ადამიანები. საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: მუსიკისმცოდნე, პროფესორი გულბათ ტორაძე, მედიკოსი, პროფესორი რომანოზ სვანიშვილი და ამჟამად თქვენი რესპონდენტი. ტკბილად ვიგონებდით ზურაბთან ურთიერთობის სასიამოვნო პერიოდს.

**— ბატონო ნიკო, სამი მარტის საღამოზე ყველასათვის მოულოდნელად, წამყვანმა მაია დათუნაშვილმა გვაუწყა, თურმე ზურაბ ანჯაფარიძე დღიურებს წერდა! თქვენ, როგორც მისმა უახლოესმა მეგობარმა, თუ იცოდით ამის შესახებ?**

— არა და, სხვათაშორის, ეს იმ საღამოზე ყველასათვის სენსაცია გახლდათ. მაია დათუნაშვილს ამის შესახებ ზურაბის ქვრივმა, ქალბატონმა მარინა მაჭავარიანმა აცნობა. ქალბატონმა მაიამ კი დღიურის ერთი ნაწილის ციტირება მოახერხა. „ნიკო, რომ იცოდე, რამდენს გაგინებ სპექტაკლის დაწყების წინ და რამდენს გლოცავ სპექტაკლის დამთავრებისას“ — დაუწერია ზურაბს და ეს ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს, მაგრამ მის ფიქსაციას თუ ახდენდა, არ ვიცოდი.

საქმე იმაშია, რომ ზურაბი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ყოველ გამოსვლას სცენაზე. ის მთლიანად იხარჯებოდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ კარგად ემღერა და ეთამაშა. ერთხელ ისიც კი მითხრა, ჩემი ყოველი გამოსვლა ოპერაში დისერტაციის დაცვის ტოლფასიაო. ცნობილია, რომ ხარისხის ყველა მაძიებელი ცხოვრებაში მაქსიმუმ ორჯერ იცავს დისერტაციას: ერთხელ საკანდიდატოს და, მეორედ, სადოქტოროს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზურაბს 2000-მდე სპექტაკლი აქვს ნამღერ-ნათამაშები, ადვილი წარმოსადგენია, რამდენჯერ დაუცავს დისერტაცია!

**— ბატონო ნიკო, ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ზურაბ ანჯაფარიძის დღიურებს. საინტერესოა, რატომ „გაგინებ-გაქებდათ“ თქვენი მეგობარი?**

— დიდი ხნის წინ, როცა ჭაბუკები ვიყავით, ზურაბი „ხმის გასასინჯად“ მივიყვანე ბიძაჩემთან ბატონ ვალერიან ქაშაკაშვილთან. მიყვანამდე, ამ გადაწყვეტილებით იმდენად ვიყავით გატაცებული, რომ დროის რეგლამენტი ვერ განვსაზღვრეთ და დიდ მომღერალს და ვოკალის ცნობილ პედაგოგს დილაუთენია თავზე დავადექით. გაუკვირდა, — ხომ მშვიდობააო? — პირველი, რაც შემეკითხა, ეს იყო. მშვიდობაა-მეთქი, — ვუპასუხე და დამშვიდდა. როცა ჩემი მოსვლის მიზეზი ავუხსენი, ეს ცნობა უხალისოდ მიიღო (უამრავს ასინჯებდნენ, აქედან ასში ერთი თუ გამოდგებოდა, ისიც ნაწილობრივ). მოღუშული მიუჯდა როიალს და შუბლშეკრულმა დაუკრა ვოკალური სავარჯიშოები. მე მას თვალს არ ვაშორებდი. ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა თანდათადან სახის გამომეტყველება. ზურაბმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, თვითონაც ველარ მოითმინა, ადგილიდან წამოხტა (ძალიან ემოციური გახლდათ), შუბლზე ემბორა და უთხრა: ბიძია, შენგან დიდი მომღერალი დადგებაო!

ასე უწინასწარმეტყველა დიდმა მომღერალმა მომავალი ზურაბს.

ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. კვირაობით სათევზაოდაც დადიოდნენ ქალაქგარეთ, მაგრამ შემდეგ მათი გზები გაიყარა. ზურაბს ძალიან უნდოდა ტენორობა. ბატონი ვალერიანი კი მის ბარიტონად გახდომაზე ფიქრობდა. ამაში ვერ შეთანხმდნენ და ერთმანეთს ტკბილად დაშორდნენ. ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებ.

**— რას გვეტყვით იმ უზადო, ხალას იუმორზე, რაც ძალიან ამშვენებდა ზურაბ ანჯაფარიძის პიროვნებას? იქნებ კურიოზიც გაიხსენოთ?**

— მის პიროვნებაში საოცრად იყო შესისხლხორცებული იუმორი. ჩემი წიგნიც თითქმის თავიდან ბოლომდე იუმორია. მრავალი კურიოზიც გადაგვხდენია. ახლაც თბილად მახსენდება მოსკოვში ზურაბთან გატარებული წლები. ერთხელაც, მე და ჩემი მეუღლე მოსკოვის დიდ თეატრში სპექტაკლზე დაგვპატიჟა. თეატრს მრავალი სადარბაზო ჰქონდა. შეთანხმებისამებრ, მითითებული ნომრის მიხედვით მივედით. ზარი დავრეკეთ. როცა კამერდინერმა კარი გაგვიღო და ავუხსენით ვინც ვიყავით, მოკრძალებით გაგვიძღვა. მიხვეულ-მოხვეული გზებით აღმოვჩნდით მეტად ბრწყინვალე, ხავერდოვან ლოჟაში. არც ერთი ნაცნობი ირგვლივ! აი, ტაშს უკრავენ, სცენაზე გამოდის ზურაბი და თვალს გვიპაჭუნებს. საერთოდ, ჩვევად ჰქონდა, თუ ვინმე ეგულებოდა დარბაზში, აუცილებლად აგრძნობინებდა. ეს იყო ნიშანი: „მე გხედავ“, რომელსაც მოხდენილად გამოხატავდა.

ქართული ჩვეულებისამებრ, პურმარილით ვიყავი ჩასული. სპექტაკლის დასრულების შემდეგ სახლში რამდენიმე ცნობილი მომღერალი მოიყვანა. შევქეიფდით, უცებ მეუბნება — მე თუ არა, იმპერატორის ლოჟაში ვინ დაგსვამდა გლეხ ხატიაშვილსო? არ ჩამოვრჩი, — შენ ხომ იცი, ქიზიყელი ვარ, სადაც ბატონ-ყმობა არასოდეს არსებულა... მე რომ არ ვყოფილიყავი, იმპერატორის სცენაზე ვინ გამღერებდამეთქი...

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## «ერთხელ სიკვდილის არ მჯერა!»

# ტიციანის ქალიშვილი მამის უკანასკნელ დღეებს იხსენებს

ვაკის ტერიტორიაზე ფიზკულტურის ინსტიტუტის ბალავრის ჩამყრელებს ბორკილებგაყრილი, ნაწამები ჩონჩხების სახით არცთუ შორეული წარსულის შემზარავი კადრები გადაშლიათ... არსებული ვერსიით, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ვაკის სასაფლაო... ადგილი, სადაც გასული საუკუნის 30-40-იან წლებში არნახული სისასტიკით უსწორდებოდნენ „ხალხის მტრებად“ შერაცხული ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს.



ვარაუდით, შესაძლოა აქვე აღასრულეს სიკვდილმისჯილი პოეტის, ტიციან ტაბიძის უსამართლო განაჩენიც. ასე სჯერა მის ერთადერთ მემკვიდრეს: მამა თბილისს არ გასცილებია და 15 ოქტომბერს ვაკის სასაფლაოზე დახვრიტესო...

მთაწმინდის ძირში, გრიბოედოვის 18-ში, სადაც თვალწარმტაცად იფურჩქნებოდა ტიციანის ულამაზესი პოეზია და სულის ზეიმი სუფევდა, ცხოვრობს სათნო და სტუმართმოყვარე ქალბატონი — ნიტა ტაბიძე.

პოეტი მამის წამებული სული და უკვდავი პოეზია მისთვის უწმინდეს სალოცავად ქცეულა. შევცქერი წინაპართა სიყვარულით გათანგულ მხცოვან ქალბატონს და თითქოს ტიციანის ღვთიური ამოძახილი საოცრების უკვდავ ჰანგად ილვრება:

„ღმერთს, პოეზიას, შენს სიყვარულს მე დავაფიცე,

წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე“.

მართლაც, წამებულებზე ლოცვაში ათენ-აღამებს ნიტა ტაბიძე. ლექსებთან და გუჯრებთან კენტად დარჩენილი სათუთად დაჰკანკალებს „ვარდების გაშლილ ყვავილებიდან“ დაბადებული პოეტის სულიერ საგანძურს. ვინ მოთვლის, ყოველ ახალ სტუმარს, სევდაგარეული სიამაყით უკვე მერამდენედ მოუთხრობს უსამართლოდ განირული მშობლის მღელვარებითა და დაუოკებელი სურვილებით აღსავსე ცხოვრების შესახებ...

შორიდან, ძალიან შორიდან იწყება მოგონება. თითქოს მეხსიერებაში ფოტოკადრივით გაშეშებულა ბავშვობისდროინდელი ხანა:

„სამუდამოდ აღვბეჭდე სულში: ბედნიერი ცისფერი თვალები, ჩემსკენ გამოწვდილი ხელები და მხიარული შეძახილი: ვინ არის ყველაზე ლამაზი? მე კი ბავშვური გულუბრყვილობით უთვალავჯერ გავკივი: მე!..“

— ტიციანი დიდ ბავშვს ჰგავსო, — ამბობდნენ თურმე. საკმარისია, მის პორტრეტს თუნდაც ერთხელ შევავლოთ თვალი... შარავანდედით მოსილი აჩრდილივით შემოგვცქერის „დიდი ბავშვი“ ფიქრიანი ცისფერი თვალებით, შუბლზე ჩამოშლილი თმებით, სევდიანი ღიმილითა და უმანკო ზრახვებით.

წლებსაც სათუთად შემოუნახავთ თანამედროვეთაგან გადმოცემული, უშუალობითა და სისრულით გამორჩეული პოეტის ორიგინალური პორტრეტი:

„რანაირი გამოხედვა! თითქოს ბავშვია მიამიტი და ალალი, სათნო, გულღია. შეკრეჭილი თხელი თმა შუბლზე ჩამოშლია. ღრმა და ფართო ცისფერი თვალები ამოკრიალებია. გრძელი, სანთელივით ჩამოქნილი თითები. თითებშუა პაპიროსი ბოლავს და მოღეღილ ხალათზე, ზედ გულისპირთან წითელი მიხაკია მიბნეული“.

საოცრად ჰყვარებია მიხაკი. დღესაც, პოეტის სახლ-მუზეუმში ამ ყვავილის სურნელი იფრქვევა. ეს არის ტიციანისეული სახლის კოლორიტი.

— მას შემდეგ, რაც მამა წაიყვანეს, ჩემი ქალიშვილობის წლებში, რუსთაველის პროსპექტზე ისე არ გამივლია, რომ ყვავილების გამყიდველს მიხაკის პატარა თაიგული არ მოეძლვნა. პატივისცემასა და სიყვარულს, სითბოსა და თანაგრძნობას მატანდნენ ამ ყვავილთან ერთად, — იხსენებს ქალბატონი ნიტა.

ტაბიძეთა ტრადიციული ოჯახი მუდამ გამორჩეოდა სტუმართმოყვარეობით. აქ პოეზიითა და სიყვარულით აღსავსე ადამიანები იკრიბებოდნენ. მათი გართობის საგანი ღვინო, ლექსი და იუმორი გახლდათ.

ნიტა ტაბიძე მათ ბოჰემურ ცხოვრებაზე აგრძელებს საუბარს:

„ჩემს ოჯახში პოეზიითა და სიყვარულით შეკრული ადამიანები იკრიბებოდნენ. მიჭირს, სათითაოდ გამოვყო ისინი... მოდიოდნენ და პოეზიის ცეცხლი, სითბო და სიყვარული მოჰქონდათ. როცა ბევრი შეგროვდებოდა, ჩვეულებისამებრ, მრგვალ მაგიდას შემოუსხდებოდნენ ხოლმე. მათი გართობის საგანი ლექსი, ღვინო და იუმორი იყო. პოეტური შთაგონებით მოდიოდნენ პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ოვანეს თუმანიანი, კირილე და ილია ზდანევიჩები, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი, ილია ერენბურგი და სხვები.

კითხულობდნენ, თარგმნიდნენ, ოხუნჯობდნენ კიდეც, კამათობდნენ ახალ პრობლემებზე... თითოეული ზეადამიანურად მომხიბვლელი ჩანდა.

ბოროტების ეპოქამ ტიციან ტაბიძე ხალხის მტრად შერაცხა. მისთვის ამ სამარცხვინო განაჩენის გამოტანა პოეტის საუკეთესო მეგობრის სიყვარულმა დააჩქარა... ხალხში ლეგენდად ვრცელდებოდა ტიციანისა და პაოლოს მეგობრობა. იმდენად ძლიერი ყოფილა მათი სულიერი ერთობა, რომ „სიამის ტყუპები“ შეურქმევიათ...

— პაოლოს პიროვნებაში საოცარი სული ბინადრობდა, — გვიამბობს ქალბატონი ნიტა, — ჩვენი ოჯახი მის გარეშე ვერ წარმოგვედგინა. განუყრელი გვქონდა ჭირი და ლხინი. საოცარი იუმორის ნიჭი ჰქონდა. სილაღით, სითბოთი და ხალისით გვავსებდა ყველას.

მოგეხსენებათ, რომ პაოლოს ძვირფასი სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულდა. ამ ტრაგედიის შემდეგ ლავრენტი ბერიამ თავისთან იხმო მამა და მოსთხოვა მისი სულიერი ძმის „ჯაშუშობის“ დადასტურება.

„სიამის ტყუპისცალი“ ამ ცინიკურ მოთხოვნას სასტიკი უარით შეხვდა. ორი თვის შემდეგ მამა კვლავ დაიბარეს. სახლში მობრუნებული ძალიან ღელავდა, გრძნობდა მოახლოებულ ბოროტებას, საფრთხეს. უკანასკნელ დღეებში სახლში ჩაიკეტა. ხან წერდა, ხან წრიალით აწყდებოდა ერთი კუთხიდან მეორეს.

— იქნება, შვილო, აღარც დედა გყავდეს, აღარც მამა, შეიძლება ცხოვრებაში ძალიან გაგიჭირდეს, მაგრამ ხალხის არასოდეს შეგრცხვება, — მითხრა დაპატიმრებამდე ერთი დღით ადრე.

მოდიოდნენ მეგობრები, არწმუნებდნენ: პაოლო მკვდარია, ვერაფერს ვუშველით, საკუთარი სიცოცხლე გადაარჩინეო...

ვერ შეძლო!.. მახსოვს, სიმონ ჩიქოვანმა ინახულა. შეუძლებელია, მამის სიხარული გადმოვცე. უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა. თითქოს იმედმა შემოაბიჯა მისი სახით.

ორი დღის შემდეგ მამა წაიყვანეს...

1934 წლით დათარიღებულ ლექსში პოეტმა ბრძანა:

„სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლული ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა...“

ჭეშმარიტად, ერთხელ სიკვდილმა ვერ შეძლო ტიციანის პოეტური სრულყოფილებით აღსავსე სიცოცხლისათვის კარები დაეხშო. პირიქით, პოეტის ტრაგიკული აღსასრული უკანასკნელ ამოსუნთქვად შეერწყა მგოსნის უმშვენიერეს პოეზიას...

ჩემი სტატია, ტიციანის ლამაზი სიცოცხლის კვალდაკვალ, მინდა ნიტა ტაბიძის ახალგაზრდობის დამსხვრეული იმედით დავასრულო. ეს ის გულუბრყვილო იმედია, ყოველდღე რომ ელოდა საყვარელი მამის გამოჩენას... უმისამართოდ „წასულ“ პოეტს თურმე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ელოდა ცალად დარჩენილი მეუღლეც. ტიციანი იყო ნინო მაყაშვილის ტკივილ-საფიქრალი... სიკვდილის სარეცელზე მყოფმა კიდევ ერთხელ, უკვე უკანასკნელად მოუხმო გარდასულ სულებს. ჰაერს შეკვდომია უმწეო ამონაკვნესი:

„პაოლო, სად არის ტიციან?“...



ტიციან ტაბიძის მეუღლე, შვილი და შვილიშვილი

ამაოდ არ უწინასწარმეტყველებია ტიციან ტაბიძეს:

„...მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწევა, ალბათ, ჩვენ სადმე ჩაგვაძაღლებენ“.

მართლაც, ავი დრო წამოეწია და ბოროტად ჩაუსაფრდა პოეტს. ეს იყო უდროობის ეპოქა, რომელმაც ჩაკლა ტიციანის ნიჭი. მან ხომ ალალ-მართალი სიცოცხლე შეურყვნელად მიიტანა ერის სამსხვერპლოზე.

**მარი ჩიტაია**

ობიექტური ინფორმაცია




# „ომის ახალი სახიფათო თეატრები"

(ჟურნალი „TIME". 11.03.2002)

თუ აშშ-ს იმედი აქვთ, ტერორისტებს გზა მოუჭრას მანამდე, სანამ ისინი ლოგანის საერთაშორისო აეროპორტში გამოცხადდებიდან ან ზღვით მივლენ ნიუიორკში, მაშინ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა იქ უნდა დაარტყან მათ, სადაც ისინი ცხოვრობენ, ან სადაც დროებით შეფარებულან ავღანეთიდან გამოქცევის შემდეგ. ბრძოლის ველის უახლესი გაფართოება, რაც გამოცხადებულია გასულ კვირაში, არის იემენი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო. აშშ-ს ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ისევე, როგორც ეს უკვე ხდება ფილიპინებზე, დაიწყება ამერიკული ფულის, საჭურველისა და პერსონალის დენა ამ გაჭირვებაში ჩავარდნილ სახელმწიფოებში იმ მიზნით, რომ მათ ძალებს დაეხმარონ ალ-ქაიდას საცეცთა ამოძირკვაში. მაგრამ ამ ახალ კამპანიებს დასჭირდება მაღალი კლასის დაზვერვა და ფანტასტიკური ხარისხის დიპლომატია.

აშშ-ს ოფიციალურ პირთა აზრით, საქართველოში პანკისის ხეობაში, ამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან სულ ცოტა თორმეტიოდე („ერთი დუჟინი") ალ-ყაიდელი აფარებს თავს. ფიქრობენ, რომ ისინი იქ მივიდნენ ქაბულის დაცემის შემდეგ, ვინაიდან ეს შორეული ველური ხეობა მშვიდ ნავთსაყუდელად მიიჩნიეს თავის მოძრაობაში ავღანეთიდან ჩეჩნეთისაკენ, სადაც მუსლიმანური აჯანყება ალ-ყაიდასათვის სწორედ რომ სასურველი დასაქმების საშუალებას იძლევა.

აშშ-ის მიერ დაგეგმილ საპასუხო ქმედებათა დიაპაზონი გულისხმობს, რომ ამოცანა არ იზღუდება მხოლოდ ერთი მუჭა ტერორისტების ხელთგდებით. უახლოეს 6 თვეში აშშ გეგმავს, რომ 64 მლნ დოლარი დახარჯოს 1600-მდე ქართველი ჯარისკაცის გასაწვრთნელად ამბოხებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.




100-დან 200-მდე ჯარისკაცისა და სხვა სპეციალისტის ჩასვლა საქართველოში დაიწყება ამ თვეში. პროგრამაში შედის აგრეთვე სადაზვერვო მონაცემებით დახმარება და ფიზიკური საგნების მიწოდება, საბრძოლო შვეულმფრენებისა და მსუბუქი იარაღის სახით. „ეს, დაახლოებით, არის საქართველოს უნარის გაზრდა, რომ სასაზღვრო უსაფრთხოება დაიცვას" — ამბობს ერთი ამერიკელი მოხელე.

მაგრამ ამ გეგმის დასახვით ვაშინგტონი, ექცევა კავკასიის ძალადობით სავსე რეგიონის რთულ პრობლემათა შუაგულში და მყარი მოკავშირეობის გზას ადგება საქართველოს ლიდერ ედუარდ შევარდნაძესთან, რომლის ძალაუფლება მკვეთრად შესუსტდა ამ ბოლო წლებში და რომლის გვარი მაღალ ადგილზეა რუსეთის პრეზიდენტ პუტინისთვის ყველაზე ნაკლებად სასურველ პირთა სიაში. პუტინმა, რომელიც საქართველოს იხილავს, როგორც რუსეთის გავლენის სფეროში მყარად მდგომ ერთეულს, საჯაროდ შესთავაზა თანადგომა აშშ-ს ხსენებულ აქციას, მაგრამ საყვედური გამოთქვა, რომ ვაშინგტონმა არ მისცა მასზე ინფორმაცია რუსეთს წინდაწინ. მისი ამ განცხადების შემდეგ მისმა გუნდელებმა უკვე დანა იხმარეს: კრემლთან ახლო კავშირში მყოფმა გაზის კონცერნმა განაცხადა, რომ გაზის მიწოდებას შეუწყვეტს საქართველოს დედაქალაქ თბილისს.

ამასობაში პენტაგონი ამთავრებს გეგმის დამუშავებას, რომ რამდენიმე ოცეული ჯარისკაცი გაგზავნოს იემენში, რომელიც დიდი ხანია ტერორისტების თავშესაფარს წარმოადგენს. თავის აგენტებს იქ გაგზავნის გამოძიების ფედერალური ბიუროც (FBI). აშშ-ს სადაზვერვო სააგენტოებს მიაჩნიათ, რომ ალ-ყაიდას წევრები იემენს ბაზად გამოიყენებენ, რადგან ეს ქვეყანაც, პაკისტანივით, პოლიტიკური არასტაბილობისა და ისლამური ექსტრემიზმის ფრიად მიმზიდველ ნარევს მოიცავს და, ამასთანავე, საკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა გააჩნია, რათა შესაძლებელი იყოს პრაქტიკული მოქმედება. იემენის პრეზიდენტი აბდულა სალეჰი ადრე აშშ-ის უხალისო პარტნერი იყო. გამოძიების ფედერალური ბიურო ჩიოდა, რომ იგი „დუნედ და ზანტად" (ეს ოფიციალური პირის სიტყვებია) თანამშრომლობდა ამერიკელებთან მათ საწინააღმდეგოდ 2000 წელს ადენში მოწყობილი აფეთქების გამოძიების საქმეში. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სალეჰმა, თავისი ხელისუფლების განმტკიცებისა და თანამშრომლობის გზით აშშ-სგან მისაღები დახმარების მიღების ეშხით, გუნება შეიცვალა. მაგრამ მაინც არსებობს იმის რისკი, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების იქ ყოფნამ შესაძლებელია, ხელი შეუწყოს იემენელი ტერორისტების პროვოცირებას ახალ ტერაქტებზე.

ყველაზე დიდი მოხერხება, რა თქმა უნდა, იმას სჭირდება, რომ ამ ორ ქვეყანაში შეიარაღებული თანამშრომლობის დაწყება ახალ პრობლემათა შეუქმნელად მოხდეს. გასულ კვირას სენატის უმრავლესობის ლიდერმა ტომ დაშლემ გამაფრთხილებელ კილოზე განაცხადა ომის უფრო და უფრო ფართოდ გაშლის პროცესის თაობაზე: „სანამ ამ წამოწყებებში ჩვენი რესურსების (იგულისხმება ადამიანური რესურსებიც, რედ.) ჩადებას დავიწყებდეთ, მე მგონი, უფრო ნათელი წარმოდგენის შემუშავება გვმართებს იმაზე, თუ რა მიმართულებას ვადგებით". მის ამ კრიტიკულ შენიშვნას რესპუბლიკური ფრაქციის ლიდერებმა მალე უწოდეს „გამთიშველი" და „საზიზღარი" და ორატორის თანამოპარტიე დემოკრატებშიც კი მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ეს ფაქტიც ერთ-ერთი საზომია იმისა, თუ როგორი წამლეკავი უპირატესობით აჭარბებს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის აზრი რისკის შესახებ დაფიქრებას.

*ი**ხ**. რუკაზე. გამოყოფილია „საქართველო" და „იემენი".*

## ფოლადისა და მეგობრობის პოლიტიკა

შეერთებული შტატების მიერ ამ ცოტა ხნის წინ დაწესებული პროტექციონისტური ტარიფები ფოლადის იმპორტზე ყველა ქვეყანას თანასწორად არ შეეხო. სიახლე შედარებით მტკივნეულად მოჰხვდა ყველაზე დიდ მეწარმეებსა და კონკურენტებს დღეს და მომავალში: გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ კომპანიებს, აგრეთვე იაპონელებსა და სამხრეთ კორეელებს. ყველაზე ნაკლებად შეეხო არგენტინას, თაილანდს და სამხრეთ აფრიკას. კანადას და მექსიკას სანქციები სულაც არ შეეხო. რუსეთს ეს სიახლე ნაკლებად, მაგრამ მაინც შეეხო. ეს პროტექციონისტური ნაბიჯი — ფოლადის იმპორტის შეზღუდვა საგადასახადო ტარიფების გზით — შეერთებული შტატების მეტალურგიის დაცვისკენ მიმართული მკვეთრი ღონისძიებაა. ამავე დროს, ამერიკელთა განსხვავებული პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებისადმი იმას მეტყველებს, რომ რეალური ეკონომიკური პოლიტიკა ამერიკული მრეწველობის პრაქტიკულ ინტერესებზეა აგებული უფრო მეტად, ვიდრე „მეზობლობისა" და „მოკავშირეების" მოტივებზე.

*(„ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნი")*

## კომენტარის მაგიერ

ჩახედული ქართველი მკითხველისთვის ამ წერილში გასაკვირი ის გახლავთ, რომ ამერიკელი ავტორი შევარდნაძეს რუსეთისათვის არასასურველ კაცად თვლის. ეს რომ ასე არ არის, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ გასული წლის ნოემბერში, როცა შევარდნაძის გადადგომის ლოზუნგი პარლამენტის წინ შეკრებილ მიტინგებზე უკვე ხმამაღლა გაისმა, რუსეთის ტელევიზიამ ძალიან მკაფიოდ მიჰყო ხელი იმ პოზიციის სიმულაციას, თითქოს შევარდნაძე მისი მტერი და დასავლეთის მოყვარე იყოს. შევარდნაძის მთელი ათწლიანი მოღვაწეობა თავისუფალი საქართველოს სათავეში რომ ჩვენს ქვეყანაში რუსეთის დაბრუნების ჩუმი მომზადებაა, რომელმაც თავის შედეგს ნაწილობრივ (და, საბედნიეროდ, მხოლოდ ნაწილობრივ) მიაღწია, ეს „საქართველოს" მრავალჯერ დაუწერია და ამ თემაზე აქ აღარ შევჩერდებით. ახალი ამ მხრივ ამ ბოლო თვეებში მხოლოდ ის გახლავთ, რომ ჩეჩნების თითქოსდა პანკისში „წვრთნის" თემა, ისევე როგორც მათი თითქოსდა საქართველოს გავლით იარაღით მომარაგების თემა ქართულ ტელევიზიაში საგანგებოდ დატრიალდა და ჩეჩნების გადაყვანა საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე იმისთვის მოხდა, რომ საქართველოზე რუსეთის პირდაპირი შეიარაღებული დარტყმის საბაბი შექმნილიყო. შევარდნაძე-პუტინის ეს ჩუმი გარიგება (უფრო ზუსტად: შეთქმულება) მხოლოდ იმის წყალობით ჩაიშალა, რომ ამერიკელები, წინააღმდეგ შეთქმულთა მოლოდინისა, აზიის ომში არ ჩაეფლნენ (პირიქით, ავღანეთის კამპანია ორი კვირის მანძილზე მოიგეს) და ნათლად განაცხადეს, რუსეთის აგრესიის შემთხვევაში საქართველოს დავიცავთო. ამერიკელების სისტემატურ განცხადებებს, შევარდნაძის ხელისუფლების არსებობას საქართველოში დღეს მხარს ვუჭერთო, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი მას იცავენ ღია კომუნისტური გადატრიალებისაგან გიორგაძეების, პატიაშვილის, ჭაჭიას და მათ მსგავსთა ხელით, რადგან ასპარეზზე ღიად გამოსულ სხვა მასშტაბურ ძალას საქართველოში დღეს ვერ ხედავენ, და იგი, ჯერჯერობით მართლაც ორგანიზებული არ არის იმ უმძიმესი მორალური ტრავმის გამო, რომელიც ქართველმა ერმა 1991-92 წლების ტრაგედიის შედეგად მიიღო.

ძალთა რეალურ განლაგებას საქართველოს გარშემო ჩვენ ასე ვხედავთ: დასავლეთისთვის შუა აზიაში დამკვიდრება დღეს, და არა ხვალ, სასიცოცხლო ინტერესია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იქ ჩინეთი დამკვიდრდება და 20-30 წლის მანძილზე თავისი რესურსებით დასავლეთისთვის დაუძლეველ მოწინააღმდეგედ გაიზრდება. გარდა ამისა, შუა აზია ევრაზიაში შესაძლებელი ყველა დიდი ფრონტის ზურგია, ანუ მსოფლიო ხმელეთის ცენტრია, და მისი გეოპოლიტიკურად წაგება ევრაზიის წაგებას ნიშნავს. რეალური გზა, ანუ სანდო და უხიფათო გზა დასავლეთს შუა აზიისკენ მხოლოდ ამიერკავკასიიდან აქვს. ამიტომ რუსეთს ამიერკავკასიაში გასაბატონებლად დასავლეთი არასოდეს აღარ მიუშვებს. იგი არ დაუშვებს იმას, რომ ამიერკავკასია კვლავ რუსეთის გეოპოლიტიკური საყრდენი გახდეს, რის შედეგადაც შუა აზია, ხატოვნად რომ ვთქვათ, მის მარცხენა ჯიბეში მოექცევა, შავი ზღვა კი — მარჯვენაში. რუსეთის მრავალრიცხოვან ქართველ აგენტურას ეს არ ესმის, თავისი ვიწრო ჰორიზონტის გამო, და ამიტომ იმედი აქვს, რომ რუსეთისადმი ერთგულება მას რაღაცა მოგებას მოუტანს. მაგრამ რაც დრო გავა, ისინი უფრო და უფრო მიხვდებიან, რომ ანგარიშში ცდებიან.

მრავალნი ფიქრობენ (და რუსეთის ჩუმი პროპაგანდა ამ აზრს გულმოდგინედ ავრცელებს), რომ რუსეთსა და ამერიკელებს დედამიწა ჩუმი შეთანხმებით განაწილებული აქვთ. ეს ასე არ არის (თუ გნებავთ: აღარ არის). ამერიკელები დღეს რუსეთს აღარ ევაჭრებიან, არამედ განკარგულებებით ელაპარაკებიან, და მათი განკარგულებები ისევე სავალდებულოა რუსეთის პრეზიდენტის პუტინისათვის, როგორც რუსეთის აგენტი შევარდნაძისათვის. მაგრამ ისინი ამ განკარგულებებს ძალიან ეკონომიურად იძლევიან (რათა უზარმაზარი ბირთვული პოტენციალის მქონე პარტნერი ზედმეტად არ გადატვირთონ), ანუ მხოლოდ ძირითად სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით, ეკონომიკური სტრატეგიის საკითხთა ჩათვლით. ამიტომ დღეს რუსეთის პოლიტიკა ამერიკელებთან ურთიერთობაში იმაშილა მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელების განკარგულებასა და განკარგულებას შორის თავისი ინტერესი „გააძვრინონ", მათ შორის — საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ინტერესიც. სწორედ ამ ინტერესთა გატარებაში ემსახურება მათ შევარდნაძე. საქართველოს საკუთარი ინტერესები, როგორიცაა, მაგალითად, სეპარატისტების მოთოკვა და დემოგრაფიულ კატასტროფასთან ბრძოლა, პოლიტიკურ საკითხთა სწორედ იმ ჯგუფში შედის, რომელზედაც დასავლეთის განკარგულება არ არსებობს და რომელშიც რუსეთი თავისი ხაზის გატარებას ცდილობს. სწორედ აქაა, ძირითადად, შევარდნაძე რომ მას ემსახურება და საქართველოს ინტერესებს წირავს.

## ადამიანთა მოდგმის გენეტიკა

„ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნის" ცნობით, ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა (Templator) წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ აფრიკის მოსახლეობა (საიდანაც, როგორც ითვლება, ადამიანი შესულია ევროპასა და აზიაში) ევროპის მოსახლეობასთან კავშირს აგრძელებდა დიდი მიგრაციის პროცესთა გარეშეც. ერთი ასეთი დიდი მიგრაცია, მისი ანგარიშით, მომხდარია დაახლოებით 500 ათასი წლის წინათ, მეორე — 100 ათასი წლის წინათ. წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, მკვლევარი ასკვნის, რომ ახალ ტალღას მთლიანად არ განუდევნია მიგრანტთა ძველი ტალღა, არამედ მათ შორის შერევა მომხდარა. აი, სახე, რომელიც ნახევრად ნეანდერთალურია, ნახევრად თანამედროვე. მასში შეგიძლიათ ევოლუციის მიმართულება დაინახოთ.

## იენგ სარის ბედი

დღეს ბევრმა აღარ იცის, ვინ იყვნენ „წითელი ქხმერები", რომელთა ოთხწლიანმა მმართველობამ (1975-79) პატარა კამბოჯაში 1,7 მილიონი ადამიანი გაწყვიტა. მათი ლიდერი პოლ პოტი მოკვდა ჯუნგლებში მალვის დროს, მეორე პირი — იენგ სარი — არხეინად ცხოვრობს დედაქალაქ პნომპენში 12-ოთახიან სახლში და მას პატივს სცემენ. ბევრი ყოფილი „წითელი ქხმერი" მშვიდი სამოქალაქო პირია, ბევრი არმიაშია, ბევრი ემიგრაციაშია. დღევანდელი მმართველი ჰუნ სენი ყოფილი ოფიცერია ამ რეჟიმისა. სასამართლო დევნის არდაწყებას ამ დამნაშავეთა მიმართ იგი იმით ამართლებს, რომ ამან შეიძლება ახალი სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. მეფეს ნოროდომ სიანუკს გამოცხადებული აქვს ტრიბუნალის შექმნის გეგმა, მაგრამ „სამართლის აღსრულების დრო" ჯერ ვერ დადგა. ყოველივე ეს ბადებს კითხვას: ხომ არ იყო ხალხი ან მისი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იმ სისხლიანი რეჟიმის მომხრე?

ობიექტური ინფორმაცია

# ამერიკელთა ბირთვული და საგარეო პოლიტიკა

ქვესათაურით „ბუშის ბირთვული სტრატეგია უპირატესად რადიკალური და სწორია, მაგრამ არა ურისკო" „ეკონომისტი" აქვეყნებს მისი ამ პოლიტიკის ანალიზს, თავისი გაცხადებული მიზნის თვალსაზრისით — რომ შეამციროს ამერიკელთა დამოკიდებულობა ბირთვულ იარაღზე — ჟურნალის აზრით, ბუშმა ბევრი კრიტიკა დაიმსახურა. მას უსაყვედურებენ, კერძოდ, რომ ამერიკის უსაფრთხოების განმტკიცებას ცდილობს სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე და რომ იგი უგულებელყოფს შემზღუდველ შეთანხმებათა მთელ სისტემას, რომლებიც, ასე თუ ისე, ამერიკის უსაფრთხოებას ხელს უწყობდნენ. იგი ქმნის ანტისარაკეტო დაცვას და ბალისტიკური რაკეტების შემზღუდველი ხელშეკრულებიდან გამოდის. იგი უარს ამბობს ბირთვული იარაღის სავალდებულო, ანუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შეკვეცაზე და მას ერთმხრივი, ანუ არასავალდებულო შეკვეცის გეგმით ცვლის, ასევე, უარს ამბობს ბირთვულ გამოცდათა აკრძალვის რატიფიკაციაზე ცალმხრივი — და, მაშასადამე, არასავალდებულო — მორატორიუმის სასარგებლოდ. მან ხელი აიღო ამერიკელთა ტრადიციულ თავშეკავებაზე ბირთვული იარაღის გამოყენებისაგან და შესაძლო სამიზნეთა რიცხვს კიდევ რამდენიმე ახალი ქვეყანა დაუმატა. ასეთ „ბრალდებათა" სია გრძელდება, მაგრამ, ჟურნალის აზრით, ბუშის პოლიტიკას, ძირითადად, თავისი გამართლება აქვს.

ბირთვულ იარაღს დღეს ამერიკელთა სამხედრო დაგეგმვაში ნაკლები როლი ეკუთვნის, ვიდრე ადრე. აქედან — ბუშის გეგმა 6000 საბრძოლოდ მზა ქობინის



დაყვანისა 2000-ზე, ძველი პოლიტიკა მუდმივი საურთიერთო „წკიპზე" ყოფნისა რუსეთთან ბირთვული ომისათვის მზაობის სახით ამერიკას ახლა აღარ სჭირდება და ხელს არ აძლევს: დღეს იგი ახალი, სხვა საშიშროების წინაშეა, სახელდობრ, სხვა ქვეყნებისაგან დარტყმის წინაშე, რის გამოც იძულებულია იმ დასატოვებელი 2000 ქობინის მოხმარება და სამიზნეები ძალიან დინჯად და სკრუპულოზურად გათვალოს.

დასავლეთის ბირთვული ძალები ადრე ამბობდნენ, რომ არ იხმარდნენ ბირთვულ იარაღს უბირთვო ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ ამას ვალდებულებად არ კისრულობდნენ (შეგნებულად). კლინტონიც და უფროსი ბუშიც თავის დროზე დაპმუქრებიან ერაყს ამ მიმართულებით. უმცროსი ბუშიც არ ჰპირდება ახალ საშიშ ქვეყნებს, რომლებსაც მასობრივი მოსპობის იარაღი აქვთ ან მის მოპოვებას ლამობენ (ირანი, ერაყი, ლიბია, ჩრდ. კორეა და სირია), რომ ბირთვული იარაღით დასჯის უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ არც გამორიცხავს ასეთ დარტყმას. საბედნიეროდ, მათი მხრიდან დარტყმის ალსაკვეთად სხვა, არაბირთვული გზებიც არსებობს: ერთია რაკეტსაწინააღმდეგო ადგილობრივი დაცვის მოწყობა (რაც მათ ცდუნებას შეუსუსტებს), მეორეა მათთვის ბირთვული და სხვა იარაღის შექნის გზების მოჭრა (ანუ „არაგავრცელების" პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება. საუბედუროდ, ამაში აშშ ყოველთვის ვერ პოულობს მსოფლიოს სხვა ძალთა მხარდაჭერას. მაგალითად, ერაყზე კონტროლის განხორციელება ბოლო კრიზისის დროს ამერიკელებს შეუშალა რუსეთის და საფრანგეთის „წამხალისებლურმა" პოლიტიკამ ერაყის მიმართ, რომელიც ამ ორი ქვეყნის სანავთობე ინტერესებით იყო განპირობებული.

ასე რომ, ჟურნალის აზრით, ბუშის პოლიტიკა სწორია, ოღონდ ბუშმა უსათუოდ უნდა დაიცვას ერთი პირობა: სახელდობრ, მან არ უნდა წაშალოს ხაზი ბირთვულსა და არაბირთვულ იარაღებს შორის. ბუნებრივია, რომ ამერიკას სჭირდება მომცრო ბირთვული ქობინების შექმნა, რომლებიც უფრო ელასტიურად გამოიყენება სხვადასხვა ამოცანებისთვის, მაგრამ ეს მეტისმეტად დიდი რისკია იმ თვალსაზრისით, რომ ეს მოქმედება სხვებსაც უხსნის ბირთვული იარაღის შექმნისა და სრულყოფის გზას. ახალ ბირთვოსან საშიშროებებთან მიმართებაში ბუშის საზრუნავი უნდა იყოს ბირთვული გამოცდების აკრძალვა საყოველთაო ხელშეკრულების ძალით, მაგრამ ამას იგი ვერ ეთანხმება იმიტომ, რომ იმ მომცრო ქობინების განვითარება უნდა (რისთვისაც მისი ქვეყნის ლაბორატორიები, ჟურნალის სიტყვით, მზად არიან). მით უმეტეს, რომ სპეციალიზებული ქობინები მათ სჭირდება იმ შემთხვევისათვის, თუ მის ახალ მოწინააღმდეგეებს სადმე მეტად ღრმად ჩამარხული ბაქტერიოლოგიური საწყობები აქვთ, რომლებსაც სწორედ ასეთი ქობინების გამოყენებით თუ მისწვდებით. ამიტომ ჟურნალი ურჩევს ბუშს, არავითარ შემთხვევაში ხელი არ აიღოს ბირთვულ გამოცდათა აკრძალვის ხელშეკრულებისათვის ბრძოლაზე.




მეორე წერილში ქვესათაურით „პენტაგონის ბირთვული პოლიტიკა დიდწილად ძველის გაგრძელებაა, არა შეცვლა" ჟურნალი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ბუშის მიერ გაკეთებული მკვეთრი განცხადებები ბირთვული იარაღის გამოყენების პერსპექტივებზე და მის შესაძლო სამიზნეებზე გაუმართლებლად შემტევი იყო („ნიუ იორკ ტაიმსმა" ისიც კი დაწერა, რომ ეს განცხადებები „არამზადა სახელმწიფოთა" შესაფერისი იყო). ეს წერილიც მიიჩნევს, რომ ბუშის მიერ გამოყენებული პრინციპი — შესაძლო აგრესორმა იცოდეს, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებას გამანადგურებელი პასუხი მოჰყვება! — ახალი არ არის, ოღონდ სიტუაცია გართულებულია ახალი შესაძლო ბირთვოსნების გამოსვლით მსოფლიო ასპარეზზე, რის შემაშფოთებელ ილუსტრაციად თუნდაც ის გამოდგება, რომ ჩრდილოეთ კორეა აცხადებს, თუ ამერიკელი „ბირთვული ფანატიკოსები" ბირთვულ დარტყმას გაბედავენ, ისინი „ბირთვულ კატასტროფაში" განადგურდებიანო.

# თურქეთი და ევროკავშირი

თურქეთის ურთიერთობა ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, ჩვენ გვაინტერესებს საით მიდის და საით წავა ჩვენი 70-მილიონიანი ევროპეიზირებული მეზობელი თურქეთი, აგრეთვე — სად გაუშვებენ მას, მისი მკვეთრი ანტიქურთული საშინაო პოლიტიკის მიუხედავად, და სად არ გაუშვებენ. მეორეც, ჩვენ გვაინტერესებს ევროკავშირის პოლიტიკა, რომლის კარებსაც ჩვენ მიკაკუნებას ვუპირებთ მომავალში. ამიტომ შემოკლებით ვაქვეყნებთ „ეკონომისტის" (The Economist) მასალას ამ თემაზე.

ჟურნალის სიტყვით, თურქეთისთვის ნათელი არაა, სურს თუ არა ევროპას მისი შეშვება ევროკავშირში. ამ ყოყმანში უკვე მრავალმა წელმა ჩაიარა. ახლა თურქეთიც კითხულობს: უნდა თუ არა თვითონ მას ევროკავშირში შესვლა? ხომ არაა დრო, ევროპული ორიენტაციის ალტერნატივა ეძებოს — რაკი „ევროპა უარყოფითად უყურებს თურქეთის ეროვნულ ინტერესებს" (თურქი გენერლის სიტყვებით, რომელიც ამ კითხვას სვამს) და მის ნაცვლად თვალი მიაპყროს თავის ისტორიულ მტრებს — ირანსა და რუსეთს? ეს კითხვა ჩაყანგებული ქემალისტებისათვის (ათათურქის მიმდევრებისათვის) ახალი არ არის და მას მკვეთრად დადებითი პასუხიც ჰქონდა გაცემული ოციან წლებში. ახლა ეს კითხვა ცოცხლდება, მაგრამ არა ვიღაცა შემთხვევითი კაცის პირით, არამედ თურქეთის უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის, გენერალ ტუნჩერ კილინჩის პირით (ნუ დაგვავიწყდება, რომ თურქეთში, ტრადიციულად, ქვეყნის ბედსა და მიმართულებას არმია წყვეტს და ეს საბჭო თურქეთში, ფაქტობრივად, გადაწყვეტილებათა მიმღები უმაღლესი ორგანოა. რედ.). გენერლის დასმული კითხვა ახლა „ბობოქრობს" თურქეთში, მით უმეტეს, რომ პრინციპული გადაწყვეტილებების აუცილებლობა, სწორედ რომ ევროპასთან დამოკიდებულების მიმართულებით, დრომ მოიტანა და თურქეთს ცალსახა პასუხს სთხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ თურქეთს დღესდღეობით (არც თუ დიდი ხანია) ისეთ ძალთა კოალიცია მართავს, რომელთა პოზიციები გარეგნულად ურთიერთშეუთავსებადია (თუმცა ძირში ერთნაირად ეროვნულია. ამაზე ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ დაბეჭდა მასალები. რედ). ესენი არიან ულტრანაციონალისტები, კონსერვატორები და მემარცხენეები და მათი მსჯელობის თემებს შორის არის ისეთიც, რომელიც მხოლოდ ევროპის მიერაა თავს მოხვეული, და არა ქვეყნის შინაგანი აუცილებლობის მიერ მოტანილი: სიკვდილით დასჯის გაუქმება (რაც აუცილებელია ევროკავშირში მიღებისთვის) და ქურთული ენის შეზღუდვათა შერბილება. ევროკავშირის წევრების კანდიდატად თურქეთი მხოლოდ 1999 წელს მიიღეს. ღირს ახლა ამ ხაზის დაგვირგვინებისათვის ისეთი მსხვერპლის გაღება, როგორსაც ზემოხსენებული მეორე მოთხოვნა წარმოადგენს? ჟურნალის სიტყვით (რომელზედაც ორი აზრი არ არსებობს), „თუ თურქეთს უწერია სრულ დასავლურ დემოკრატიად გახდომა, სამოქალაქოებს მოუხდებათ იმდენი გამბედაობა მოიკრიბონ, რომ გააუქმონ შეიარაღებულ ძალთა მუდმივი ზეგავლენა პოლიტიკაზე. გენერალ კილინჩის გამოხდომა გულისხმობს, რომ ეს ყველაზე უფრო ძნელი რეფორმა იქნება".

ჟურნალის თქმით, გენერლის სიტყვებს „არც მაინცდამაინც სერიოზულად ღებულობენ". უკვე ათწლეულებია, სამხედროები ეწინააღმდეგებიან როგორც ისლამისტ რადიკალებს, ისე ქურთ სეპარატისტებს და ეს ორივენი თურქეთის უდიდეს საშიშროებად მიაჩნიათ. მაგრამ ირანს ამ ორივე სახიფათო ელემენტის მხარდამჭერად თვლიან. ქურთებისადმი დამოკიდებულებით ისინი ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის კურსს (თურქეთის „ეროვნულ ინტერესებში", რომელიც გენერალმა ახსენა, ცხადია, სწორედ ქურთებისადმი დამოკიდებულება იგულისხმება. რედ). მთავრობის მომხრე მასმედია გენერლის მკვეთრ განცხადებას არბილებს იმით, რომ ამბობს, გენერალმა მხოლოდ სათადარიგო გეგმა წამოაყენა იმ შემთხვევისათვის, თუ ევროკავშირთან ურთიერთობა ვერ მოვაგვარეთო.

თურქეთში არის აზრი, ევროპელები გვატყუებენო: ისინი დაგვაკანონებინებენ ქურთების უფლებებს, დაგვათმობინებენ კვიპროსზე, დაგვათმობინებენ ბერძნებისათვის სადავო კუნძულებს ეგეოსის ზღვაში, შემდეგ კი კარს მოგვიჯახუნებენ ცხვირწინო (შევახსენებთ მკითხველს, რომ ევროკავშირში შესვლა თურქეთს დიდ ეკონომიკურ მოგებას უქადის). არის უფრო მწვავე პროგნოზიც. ანკარელი პროფესორი ჰასან უნალი ფიქრობს, ევროპელებს აზრად არა აქვთ ჩვენი ევროკავშირში მიღებაო. დღევანდელი ტემპით თუ იმრავლა, თურქეთის მოსახლეობა 20 წელიწადში 20 მილიონი იქნება და ევროპას არ უნდა, ესოდენ ძლიერი ახალი წევრი გაირიოსო. გარდა ამისა, ჩვენ თუ ევროკავშირში ვიქნებით, ამით იგი ერაყისა და ირანის მეზობელი ხდება და ეს მისთვის სასურველი არაა, ამიტომ მას უნდა, ჩვენ ზღუდედ ვყავდეთ „თავისთავსა და იმ სიბინძურეს შორისო". ევროპისადმი ეჭვს თურქეთში აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ევროპელებმა უარი თქვეს თხოვნაზე, ტერორისტებად აღეარებინათ ქურთული მებრძოლი პარტია „პკკ" (მისი ლიდერი ოჯალანი პატიმრობაშია) და განსაკუთრებით მანკიერი მემარცხენე ორგანიზაცია „დჰკპ". მიუხედავად ამ ყველა მოსაზრებისა, გამოკითხვები მაინც გვიჩვენებს, რომ თურქთა დიდი უმრავლესობა ევროკავშირში შესვლის მომხრეა, ხოლო პოლიტიკოსთა რეაქცია გენერლის გამოხდომაზე, ჟურნალის აზრით, იმას მიგვანიშნებს, რომ გენერლის და მისი თანამოაზრეების პოზიციას, პირველ ყოვლისა, განაპირობებს საფუძვლიანი შიში, ევროსაბჭოში თურქეთის გაწევრიანების შემთხვევაში მასში არმიის პოლიტიკურ ბატონობას ბოლო მოეღებაო. მემარცხენე პრემიერ-მინისტრმა ეჯევითმა პირდაპირ თქვა, „ევროკავშირში შესვლა თურქეთის უფლებაა, მას ალტერნატივა არა აქვსო". გენერლის სიტყვებს მკვეთრად დაუპირისპირდნენ სხვებიც, მათ შორის კონსერვატიული მიმართულებისანი. ჟურნალი ამ წერილს ამთავრებს შენიშვნით, ამ ათწლედების „თურქეთის სწორი აღწერა ესაა, ახლა კი საქმე იმაზეა, გახდება თუ არა, და თუ „ჰო", როდის გახდება ეს აღწერა არასწორიო".

რედაქციისაგან. მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ თურქეთის რუსეთთან ალიანსს კარგა ხნის ისტორია აქვს. მისი მეორე რეალიზაცია იყო რუსეთის აქტიური მრავალმხრივი დახმარება თურქეთისათვის ბერძნებთან ომში, რომელთაც ზურგს უკან ინგლისი ედგათ (1922 წ.). ეს ფაქტი ფართოდაა ცნობილი. პირველი კი იყო მათი მჭიდროდ შეთანხმებული მოქმედება 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამხობის პროცესში, როცა მე-11 რუსული არმიის შემოტევა აღმოსავლეთიდან და თურქული არმიის შემოტევა სამხრეთ-დასავლეთიდან შეთანხმებულად, ერთ დღეს დაიწყო (ამაზე გაკვრითაა ლაპარაკი რუსეთის სარდლის გეკერის ბრძანებაში შეტევის დაწყების შესახებ).

## აფრიკის დიდ მაიმუნებს საფრთხე ელით

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდ მაიმუნებს და პატარა მაიმუნებს ინგლისურ ენაში სხვადასხვა სახელი აქვთ. პირველნი არიან apes, მეორენი — monkeys. მეორეებისას ვერაფერს მოგახსენებთ, პირველებს კი აფრიკაში, თურმე, სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხე ელით. მიზეზია ე. წ. „ადამიანური ფაქტორი": ნადირობა, რეწვა, ზოოპარკებისთვის დატყვევება და ა. შ. წარმოიდგინეთ, რომ ზოგი ადგილობრივი ეთნოსი (ნუ ვიტყვით — ტომი) ჩვენი ამ გარეთა ბიძაშვილების ხორცს შეექცევა და რომ მხოლოდ იაუნდის ოთხ ბაზარზე ყოველთვიურად 90 ტონა ადამიანისებრი მაიმუნის ხორცი იყიდება! კამერუნში ოფიციალური და სამთავრობო მილების სტუმრები თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიან, თუ, როგორც მინიმუმი, გორილას ხორცი არ მიართვეს. დიდი გორილა საშუალოდ 60 დოლარი ღირს. მხოლოდ კამერუნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ამ წესით წლიურად 800 გორილა ნადგურდება. ცივილიზებული დასავლეთის ორადორი ზემოქმედების ბერკეტი — ეკონომიკური დაინტერესება და ეკონომიკური სანქციების მუქარა — ჯერჯერობით უძლურია დაძლიოს კამერუნის ხელისუფალთა გულგრილობა ამ ორფეხთა თუ თითქმის ორფეხთა გადარჩენის კეთილშობილური ამოცანისადმი.




# „ადამიანის უფლებების" პრობლემას შეიცავს

**ფეთქებადი გამოთქმა „ადამიანის უფლებები" თანამედროვე დიდ პოლიტიკაში აშშ პრეზიდენტმა კარტერმა შემოიტანა. უფრო ზუსტად: ისტორიისა და აკადემიურობის ჩრდილიდან გამოიყვანა და დასავლეთის ბლოკის აღმოსავლეთ ბლოკთან, „ბოროტი იმპერიის" ბლოკთან დაპირისპირების ლოზუნგად გახადა. დღეს, როცა ამერიკაში „ისტორიის არდადეგები" დამთავრდა და 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად საზოგადოება არჩევანის წინაშე დადგა ერთის მხრივ უსაფრთხოებისა და მეორეს მხრივ მოქალაქეობრივი თავისუფლების ერთი-ორ მეათეხარისხოვან ინტერესს შორის, თანამედროვე მოწინავე საზოგადოების ყველა საფუძველი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება: — ყველაფერი გადააზრებას, სიღრმეში ჩახედვას და — თუ უკუსაგდები არ აღმოჩნდა, — ხელახალ დასაბუთებას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო პრაქტიკამ ერთი-ორი მწვავე კითხვა ჯერ კიდევ ტერაქტამდე აღძრა. კითხვები, ჯერჯერობით, საქმის მხოლოდ მატერიალურ (ეკონომიკურ) მხარეს ეხება.**

**გთავაზობთ ჟ. „ეკონომისტის" (The Economist) ფრიად საგულისხმო მასალას ამ თემაზე.**

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" გაერომ 1948 წელს მიიღო. იმისთვის, რომ ამ ზოგადი დოკუმენტის იურიდიული გამოყენებისათვის გამოსადეგი სახე მიეღო, დადებულ იქნა კიდევ ორი საერთაშორისო შეთანხმება: ერთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, მეორე — ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. მსოფლიო, თითქოს, „იდეოლოგიურად" (უფრო ზუსტად კი — პროპაგანდისტულად) გაიყო: „კაპიტალისტური" ნაწილი ბრალად სდებდა სოციალისტურს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ფეხქვეშ თელავთო, სოციალისტური კი პასუხობდა „ჩვენ ამ უფლებებზე უფრო წინ ეკონომიკურსა და სოციალურ უფლებებს ვაყენებთო". ჩინელებს, დიდწილად, დღესაც ეს პასუხი აქვთ მომარჯვებული. სოციალიზმის დამარცხებამდე მსოფლიო ორგანიზაციები აქცენტს აკეთებდნენ ადამიანის უფლებათა ამ პირველ კატეგორიაზე და წამების, უსაფუძვლო დაპატიმრების, მასობრივი გასახლებების და სხვა ამგვარი ძალადობების მხილებით ხშირად აიძულებდნენ დიქტატორებს, თავის პოლიტიკაში ცვლილებები შეეტანათ. დღეს წინ წამოვიდა უფლებათა მეორე კატეგორიის დაცვა, თუმცა არც ისე ძლიერი ფორმით, როგორც ადრე პოლიტიკურსა და სამოქალაქო უფლებებს იცავდნენ. ახლა ლაპარაკია ისეთ ქვეყნიურ სიკეთეთა ქონის საყოველთაო უფლებაზე, როგორიცაა ბინა, საკვები, ჯანდაცვა ან სამართლიანი ხელფასი, უფლებადაცვით ორგანიზაციებს დღეს იმედი აქვთ, დაარწმუნონ მთავრობები, რომ ბინის და სადილის უფლება ხმის მიცემის უფლების თანასწორია თავისი რანგით. თუ საკითხის ასეთი დასმა ვინმეს სასაცილოდ ეჩვენება, უფლებადამცველებს ეს არ აშინებს: „წამების მსხვერპლთა ქომაგობა რომ დავიწყეთ, მაშინაც ღიმილით გვიყურებდნენ, მაგრამ ჩვენ სკეპტიციზმისა არ გვეშინიაო".

დასაცავ უფლებათა ცვლილება, ამ ბოლო დრომდე უფლებადამცველთა ლოგიკა ასეთი იყო: თუ დავამყარებთ ნამდვილ პოლიტიკურ დემოკრატიას, შიმშილი და სხვა სოციალური უბედურებები თავისით გაქრება. საზოგადოების ინფორმირება კმარა, რათა მან ეს უბედურებები დაძლიოსო. დღეს უფლებადაცვითი ორგანიზაციები უფრო და უფრო ეჭვობენ, ასეა მართლა თუ არა. ამის საფუძველი მათ მართლაც აქვთ. მაგალითად, ბოტსვანაში (აფრიკა), რომელიც ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოა, შიდსის პანდემია მძვინვარებს. დასკვნა, მათი აზრით, ნათელია: აქცენტმა პოლიტიკური უფლებებიდან დღეს ამ მატერიალურ უფლებებისკენ უნდა გადაინაცვლოს. ადამიანისათვის იმ საჭიროებათა უზრუნველყოფა, რომლებიც მისთვის სასიცოცხლოა, სიუხვის საგანი კი არ უნდა იყოს, არამედ იმათი მოვალეობის საგანი, რომელთაც ხარჯის გაღება შეუძლიათო.

ადამიანის შეუვალ უფლებათა ჩამონათვლის გაფართოების ამ იდეის წინააღმდეგ სხვადასხვა არგუმენტები არსებობს. ერთი ისაა, რომ არცერთი დიქტატურა მიზანდასახულად არ აშიმშილებს და მედდაცვას არ აკლებს მოსახლეობას და რომ ამ უფლებათა დაკანონება გარდუვალად იწვევს (პრინციპში) იმ სახელმწიფოს გამტყუნებას მათი დარღვევისათვის, რომლებიც, უბრალოდ, ღარიბნი არიან. მეორე კრიტიკული შენიშვნა აუცილებელ ადამიანურ უფლებათა გაფართოების ამ გეგმის მიმართ ისაა, რომ, თუ იგი (ეს გაფართოება) მართლაც მოხდება, ეს იქნება კაცობრიობისათვის ისეთი ფინანსური ტვირთის აკიდება, რომელსაც იგი ან გაუძლებს, ან ვერა. რადგან აზრი, თუ სადმე ადამიანი მოკლებულია ადექვატურ მედდახმარებას, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სახსრები სწორად ვერ ნაწილდებაო, შორსაა უდავო სიცხადისაგან.

ადამიანის უფლებათა გაფართოების ამ გეგმის წინააღმდეგ განსაკუთრებით მკვეთრად გამოდიან ამერიკელები, რომელთაც ჯერჯერობით არც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კონვენციისთვის გაუკეთებიათ რატიფიკაცია. მათი საბუთი ისაა, რომ ზემოხსენებული ადამიანური საჭიროებისათვის უფლების სტატუსის მინიჭება იმას გამოიწვევს, რომ მოქალაქეს შეეძლება ხელისუფლებას ამ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სასამართლო წესით მოსთხოვოს. ამიტომ მათ ურჩევნიათ ამ პრობლემებს სხვა წესით მიუდგნენ. მაგალითად, აფრიკაში მიღებულ შიდსთან ბრძოლის პრობლემა განიხილონ როგორც ჯანდაცვის პოლიტიკის ან უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტი.

ჟურნალს მიაჩნია, რომ უფლებადამცველ ორგანიზაციათა მიერ იმ უფლებათა აღიარების მოთხოვნა, რომლებიც არც კონკრეტულად განსაზღვრადია, არც დაკმაყოფილებადია, შედეგად მხოლოდ მათი დიდი შრომით მოპოვებული პოლიტიკური პრესტიჟის დაზარალებას გამოიწვევს.

# ტერორიზმი. არსებობს თუ არა მისგან დაცვა?

დღეს, სამწუხაროდ, უკვე ნათელია, რომ XXI საუკუნე ტერორიზმისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნის ქვეშ ჩაივლის. ტერორიზმი ომის ახალი სახეა — გამოცხადებული ან გამოუცხადებელი, წესთა არმქონე, ჯარისკაცისა და ბავშვის ვერგამრჩევი, მასობრივი და განსაკუთრებით დაუნდობელი. ეს ის ფაქტორი გახლავთ, რომლის გამო, თანდათანობით, კაცობრიობის ცხოვრების ყველა მხარე შეიცვლება, მოქალაქეთა კონტროლის ტექნიკური საშუალებებით დაწყებული და იურიდიული თუ პოლიტიკური ნორმებით დამთავრებული. შეიცვლება, რა თქმა უნდა, უარესისკენ. ამ ჩამონათვალში ჩვენ შეგნებულად არ ჩავრთეთ სიტყვები „მორალური", „ზნეობრივი" და „ეთიკური", რადგან ამ საშინელი სენის გავლენა ზნეობას ვერ მისწვდება: იგი მხოლოდ გაუძნელებს ადამიანს მის მცნებათა მიყოლას. ზნეობის უკუსვლისათვის ხომ საჭიროა კაცობრიობის გონებრივი უკუსვლა, ეს კი, გლობალური მასშტაბით, შეუძლებელია.

საშიშროების მასშტაბზე მეტყველებს თუნდაც ჟურნალ „TIME"-ის მიერ მოწოდებული ფაქტი, რომ გასულ ოქტომბერში აშშ-ის რიგ სამთავრობო სამსახურებში შეტყობინებული იყო საგანგაშო ცნობა, რომ ტერორისტთა ჯგუფს რუსეთის არსენალებიდან ნაშოვი ჰქონდა 10 კილოტონის სიმძლავრის ბირთვული იარაღი და მის ნიუ-იორკში შეტანის ორგანიზებას ეწეოდა. საქართველოსთვის კაცობრიობის ამ ახალი ჭირის გაჩენას ერთი სპეციფიკური, სხვა ქვეყანათაგან განსხვავებული საშიშროებაც ემუქრება: ეს ის გახლავთ, რომ ტერორისტებისთვის გამოსადეგი ყველა ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის — მასობრივი განადგურების ყველა საშუალების უსასრულო არსენალი აქვს რუსეთს, რომელიც დღეს საქართველოს მიმართ — არც მეტი, არც ნაკლები — სრული (ტოტალიტარული) აგრესიული დაპირისპირების (თვით ფიზიკური მოსპობის ჩათვლით) პოზიციაში დგას და, ამასთანავე, საქართველოში მრავალათასიანი ორგანიზებული აგენტურა გააჩნია. საკმარისია, საქართველოს მიმართ თუნდ ერთი მეორეხარისხოვანი ტერორისტული ჯგუფის გალიზიანება გაჩნდეს ან მუქარა გამოითქვას, — და რუსეთი მაშინვე, იმ ტერორისტის ნიღბისქვეშ აამოქმედებს ყველა ამ საშუალებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საბრძოლო, ტექნიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ თუ ფსიქოლოგიურ საშუალებებზე დღეს ყველა ფიქრობს და ყველა სოლიდური ჟურნალი წერს. მოვიყვანთ ამ თემისადმი მიძღვნილ ანალიტიკურ მასალას „TIME"-იდან.

ბრძოლის პირველი საშუალება: ინფორმაციის მოგროვება. ამ მხრივ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) საკმაოდ უჭირს, რადგან იგი, ტრადიციულად, მიმართულია სსრკ-ს მოგერიებაზე და, შესაბამისად, აქცენტი გადატანილი აქვს დაზვერვის ტექნიკურ საშუალებებზე და არა ადამიანთა მიბირებაზე. საკმარისია ითქვას, რომ ტერორისტთა მიერ იმ ბირთვული იარაღის ხელთგდების ამბავი, ზემოთ რომ ვახსენეთ, მომდინარეობდა აგენტისგან, რომელიც „გაურკვეველი სანდოობის" აგენტად ითვლებოდა და ამ ცნობის სიმძიმის მიუხედავად, მისი გაყოლა საეჭვო გახდებოდა, იმავე დროს რომ რუს გენერალს არ განეცხადებინა, ჩემს არსენალში 10 კილოტონიანი ბირთვული იარაღი გამიქრაო. აგენტურის დიდი ნაწილი რუსულს ფლობს, და არა იმ ენებს, რომლებიც დღევანდელ ამოცანებს სჭირდება. ავღანეთის ომისას, მაგალითად, ძალიან დიდ სიძნელეს ქმნიდა ენის მცოდნე აგენტთა ნაკლებობა. ეს განაპირობებს ტერორისტულ ორგანიზაციებში შეღწევის სიძნელეს, ხოლო მათში შეუღწევლობა — სისუსტეს. მაგალითად, მანჰეტენში იმ 10 კილოტონის აფეთქება მოკლავდა 100 ათას სულს და დაასხივებდა 700 ათასს, მაგრამ უმაღლესი მოხელეები აღიარებენ, რომ, თუ გაიგებდნენ, იარაღი მანჰეტენშია შეტანილი, შემდგომ მოვლენათა განვითარებაში ჩარევას ნაკლებად თუ შეძლებდნენ. არაერთი ექსპერტის შეფასებით ტერორისტებისგან ამერიკელები დღესაც ისეთივე დაუცველნი არიან, როგორნიც იყვნენ 10 ან 12 სექტემბერს. თუმცა ტერორისტების საწინააღმდეგოდ ამერიკელთა მიერ განხორციელებულმა დარტყმებმა და ჯილეხის შიშის მოგერიებამ (ამაზე გაზ. „საქართველომ" მასალები ადრე დაბეჭდა, რედ.), მოქალაქეთა განწყობილების დაცხრომას ტერორისტები არ დაუცხრია. მათმა ფართოდ გარცელებულმა მრავალრიცხოვანმა წევრობამ წვერები დაიპარსა და ევროპულად ჩაიცვა, მაგრამ თავის საქმიანობაზე ხელი არ აუღია.

თუმცა ტერორიზმის საწინააღმდეგოდ ბრძოლისათვის გაღებული თანხები კოლოსალურია და ორგანიზაციული ზომებიც შესაფერისი მასშტაბისაა (მაგ. 100 ათასი სახელმწიფო მოსამსახურე რიგრიგობით მორიგეობს ვაშინგტონის მეტროს გვირაბებში, რათა ბირთვული კატასტროფის შემთხვევაში აშშ უმთავრობოდ არ დარჩეს). დაცვის მთელ ამ არსებულ სისტემას ადარებენ ძრავის მუშაობას, რომელსაც გაზი ეპარება და ანთების სისტემა დარეგულირებული არა აქვს. ალ-ყაიდა რომ იერიშებს განაახლებს, ამაში ეჭვი არ ეპარებათ. ამერიკელთა დარტყმების შედეგად ავღანეთში გაფანტული თალიბები ისევ გროვდებიან ჯგუფებად და ზოგი ავღანეთში, ზოგი სხვა ქვეყნებში ბრძოლისთვის ემზადებიან. ის 3-4 ათასი კაცი, რომელიც მომზადებას გადიოდა ალ-ყაიდას ტერორისტულ ბანაკებში ვინმე აბუ ზუბეიდას მეთვალყურეობით, კვლავ ამ კაცის განკარგულებაშია. ძირითადი ამოცანა — სსრკ-სთან ბრძოლიდან გადართვა თვითმკვლელ ამფეთქებლებთან, ქალაქში ბირთვულ იარაღთა შემტანებთან და საკვები რესურსების მაინფიცირებლებთან ბრძოლაზე — აშშ-ის უშიშროების წინაშე მთელი სიმწვავით დგას.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) შეფს ტენეტს, რომელიც კლინტონის კადრი იყო, მაგრამ სამსახურს შემორჩა, რადგანაც ბუშთან კარგი ურთიერთობა აქვს, თავისი და თავისი სააგენტოს მართლება უხდება; მთავარი პუნქტი კრიტიკისა და მთავარი წყარო სისუსტისა მაინც ის არის, რომ დაზვერვისთვის ადამიანთა მოპოვებიდან აქცენტი გადატანილ იქნა ტექნიკურ საშუალებებზე. მიღებული პრაქტიკა — რომ ადგილზე კაცის მივლინება, რომელსაც აგენტურის შექმნაც ევალება — მხოლოდ სამი წლით ხდება, რაც მხოლოდ მიხედმოხედვას უნდა — აგრეთვე სისუსტის წყაროა. სანდო, ქმედითი და რისკზე წამსვლელი აგენტების დიდი რაოდენობით მონახვა ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანაა, თუმცა მის დასაძლევად ენერგიული ნაბიჯები იდგმება.



შეცდომით დაბომბილნი. ტერორისტთა თავშესაფრის ნაცვლად ბომბი მეძორწილეებს მოჰხვდათ.

ტერორიზმთან ბრძოლის მეორე საშუალებაა სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებათა მიერ ინფორმაციის სწრაფი და საკმარისად სრული ურთიერთგაზიარება. ამ მხრივ აშშ 13 უწყებას, რომელსაც საქმე აქვს ინფორმაციის მოპოვებასთან, დღესდღეობით საქმე სავსებით გამართულად არა აქვს. მესამე საშუალებაა კონტროლის ბადის გაძლიერება, როგორიცაა თვითმფრინავზე გასასვლელები და სხვა ამგვარი. მხოლოდ ბაგაჟის შესამოწმებლად დაქირავებულ იქნა 28 ათასი ახალი სახელმწიფო მოსამსახურე. მაგრამ გადამწყვეტი შედეგის მომტანი ეს ზომა არაა და ვერ იქნება, ისევე როგორც სიფხიზლე ჰაკერების წინააღმდეგ, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდნენ და თავდაცვის სისტემათა კომპიუტერულ პარკს უტევენ. ამოსავალი დებულება ამერიკელთა დღევანდელი პოზიციისათვის ის არის, რომ ტერორისტული დარტყმები იქნება. დაბოლოს, მეოთხე საშუალებაა ტერორისტთა განადგურება ან დაპატიმრება იქ, სადაც არიან. აშშ სამსახურებს დღეს ამერიკაში ალ-ყაიდასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი 600 კაცი ჰყავთ დაკავებული. მაგრამ ამათში, სკრუპულოზური ძიების მიუხედავად, რეალური დამნაშავე, ან კანონდამრღვევი თითქმის არ მოინახა. ისინი, ვინც 11 სექტემბრის აქტი მოახდინა, კანონს არ არღვევდნენ. ამიტომ შესაძლებელია, რომ ბინ ლადენის მომხრენი დღეს გამქრალნი კი არ არიან, არამედ, უბრალოდ, უფრო დიდ სიღრმეზე არიან ჩაყვინთულნი, ვიდრე მათ ეძებენ. მარტო ავღანეთის ბანაკებში მომზადებულნი 11 ათასი არიან, მიუხედავად ამისა — ან, შესაძლოა, სწორედ ამის გამო — კონკრეტულ შეთქმულთა ძებნა და უვნებელყოფა, ჟურნალის აზრით, დღეს მაინც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ თუ არა, ყველაზე ქმედით საშუალებად მაინც რჩება.

ასაკი მაინც თავისას შვება?!

# გურამ საღარაძე: „თეატრი ჩემი ცხოვრების ძირითადი აზარტია, მაგრამ არც „კაზინოზე" ვამბობ უარს"



ნახევარი საუკუნე! — ეს საკმაოდ ვრცელი გზაა შემოქმედებითი წვით გათანგული მსახიობისთვის. ოჯახი, აზარტი, სცენა, გურამ საღარაძისთვის ის ცნებებია, რომელიც გასაოცარი ოსტატობით შეუთავსებია ერთმანეთისთვის და ურომლისოდაც სიცოცხლე ვერც წარმოუდგენია. მას შემდეგ, რაც სცენაზე პირველად შედგა ფეხი, მუხლჩაუხრელად მსახურებს იმ ბომონდს, რომელსაც ხელოვნება ჰქვია.

— „სცენა აზარტია, გატაცებაა, ეს ჩემი პროფესია გახლავთ. ისე გაგიტაცებს როლი კაცს, ზოგჯერ თავდავიწყებამდე მიდიხარ", იტყვის მოგვიანებით მხცოვანი მსახიობი.

— სცენაზე შესრულებული ყოველი როლი, მხატვრული მეტყველებით წაკითხული ყოველი ნაწარმოები იმდენად ძვირფასია ჩემთვის, ერთმანეთისგან გამოყოფა მეტისმეტად მიჭირს, ყველა შვილივით მიყვარს, ყველა მონაპოვარია. თითოეულს მეტნაკლები წარმატება ახლავს. არის მომენტი, წარმატება მწვერვალს აღწევს, მაყურებელი და მსახიობი ბედნიერებას ერთად განიცდის... არის მომენტი ჩავარდნისაც. იმდენი როლი შევასრულე სცენაზე, სათითაოდ ჩამოთვლა და გახსენება შორს წაგვიყვანდა. ყველაზე მეტი წარმატება, ალბათ, მაინც რობერტ სტურუას მიერ დადგმულმა ბრეხტის პიესამ, „კავკასიური ცარცის წრე", მოგვიტანა, რადგან იგი არა მარტო ქართულ სცენაზე, მთელს მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობდა. ეს სპექტაკლი ახლა აღვადგინეთ. დღევანდელ ახალგაზრდებს არ უნახავს იგი. 1975 წელს დაიდგა პირველად. 1977 წელს მსოფლიო არენაზე გავედით უკვე. წარმატებით მოვიარეთ ყველა კონტინენტი და ტრიუმფით დავბრუნდით უკან. დღეს, როცა ამ სპექტაკლს ვდგამთ, თეატრის დარბაზი ახალგაზრდებითაა გადაჭედილი, ეს ბედნიერებაა.

**— დღეს სად მოღვაწეობს გურამ საღარაძე?**

— ბოლო წლებში სხვადასხვა თეატრებთან ვთანამშრომლობ. ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დაარსებულ თავისუფალ თეატრში „ჰამლეტში" კლაუდიუსის როლი ვითამაშე. ამ სპექტაკლითაც სხვადასხვა ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა: ნოვოსიბირსკში, ციმბირში. უკრაინაში, ქ. ლვოვში მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის პირველი პრიზი ავიღე.

**— თქვენი სარეკორდო როლები მაინც „კავკასიური ცარცის წრეშია", არა?! თუ არ ვცდები, ერთ სპექტაკლში რამდენიმე როლს ერთდროულად თამაშობდით?**

— დიახ, ასეა... ოცდაშვიდი წელი გავიდა მას შემდეგ. დღესაც, მინდა იმავე აზარტით ვითამაშო, თუმცა ასაკი მაინც თავისას შვება. სამ როლს ვთამაშობდი. ეფრეიტორის როლი მაინც განსაკუთრებულია. ბევრი მოძრაობა, ფიზიკური დატვირთვაა საჭირო: სცენაზე სირბილი, წაქცევა, პარტნიორის ხელში აყვანა. ოცდაშვიდი წლის წინ სხვა იყო. ვცდილობ ჩემს ახალგაზრდობას უკან არ ჩამოვრჩე. მეგობრების ხოტბას ისევ ვიმსახურებ: „ვახ! ვახ! შენ ვინ ხარო", მაგრამ თუ სიმართლეში გამოგიტყდებით, თურმე ახლა მართლა ძალიან ძნელია ყოველივე იმის გაკეთება, რასაც ამ ხნის მანძილზე ვაკეთებდი.

**— დამეთანხმებით, ალბათ, ისეთი როლიც არსებობს, სადაც ადამიანი საკუთარ „მეს" პოულობს. თქვენ თუ „აღმოაჩინეთ" საკუთარი თავი რომელიმე პიესაში?**

— ამას ზუსტად ვერავინ გეტყვით. ძნელია, რომელიმე როლი შენ მოგერგოს. მსახიობი საკუთარი ცხოვრებიდან გარკვეულ გამოცდილებას, ასოციაციებს იყენებს ხოლმე როლის გასახსნელად, ანუ იმ რეალური სახის მისაგნებად, რაც დრამატურგმა ჩაიფიქრა. თორემ ზუსტად ფორმულა — რა და როგორ უნდა გააკეთო, არ არსებობს.



**— სცენაზე რომ აზარტი აუცილებელია, ამაში უკვე დავრწმუნდით. ცხოვრებაში თუა საჭირო აზარტულობა? თქვენ თუ ხართ აზარტული?**

— აზარტს ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უჭირავს. რაღაც დოზით, ეს, ალბათ, საჭიროცაა. პირადად მე, მაგალითად, ახალგაზრდობაში პოკერის თამაშით ვიყავი გატაცებული, თუმცა არასდროს მითამაშია დიდ თანხებზე. ძირითადად მეგობრები ვთამაშობდით. აზარტული თამაში ერთგვარი საშუალებაა ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებისეული პრობლემებისგან გამოსათიშად. თუმცა თამაშმა საყვარელ საქმეს არ უნდა მოგწყვიტოს. თავისუფალ დროს შეიძლება თავს დასვენების უფლება მისცე.

თბილისში 25-ზე მეტი „კაზინოა". გულწრფელად მინდა გითხრათ, გაოგნებული ვარ. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი იქ იყრის თავს. პროფესიულად ჩამოუყალიბებელნი არიან და გართობას ანდომებენ მთელ დროს. ეს მათთვის დამღუპველია. ჩემი ასაკის კაცისთვის „კაზინოს" სხვა დატვირთვა აქვს. მეუღლის დაღუპვის შემდეგ საკუთარ თავთან მარტო დარჩენის შიშმა მიბიძგა აქეთ. ჩემთვის ეს აუცილებელიც კი იყო.

ჩემი ჰობი სწორედ ამ გართობაშია. თეატრი ჩემი ცხოვრების ძირითადი აზარტია, მაგრამ პარალელურად აზარტულ თამაშებსაც გარკვეული ადგილი უჭირავს.

**— წაგების სიმწარე თუ გაქვთ გამოცდილი? არ მითხრათ სულ ვიგებო.**

— წაგება-მოგების მექანიზმი იქ ისეა შემუშავებული, ვერ გაექცევი. პირადად მე დიდ თანხებზე არ ვთამაშობ. ამის არც შესაძლებლობა გამაჩნია და არც უფლება. სამორინეში შესულმა ადამიანმა ჯერ საკუთარი შესაძლებლობები უნდა გადაამოწმოს. ისე, თბილისში უფრო „დემოკრატიული" თამაში იციან, ვიდრე უცხოეთში. იქ გვერდით მჯდომს პოკერის თამაშისას კარტში რომ ჩახედო, საყვედურს მიიღებ. უფლებას არავინ მოგცემს, გადაამოწმო, რომელი კარტი გასულია და რომელი — არა, აქ კი გარკვეულწილად ვახერხებთ ამას.

**— სცენისა და კაზინოს მიღმა, ცხოვრებაში როგორია გურამ საღარაძე?**

— როგორ გითხრათ?! ჩემი მეგობრები საკმაოდ ხელმარცხიან ადამიანად მთვლიან. წვეულებებზე თუ ჩვეულებრივ სადილებზე, ჭიქის წაქცევა, გატეხა ჩვეულებრივი ამბავია ჩემგან. ახლობლები სულ ელოდებიან, რომ რამეს მოვიმოქმედებ.

**— ალბათ, ხშირად კურიოზულ მომენტებს ქმნით და სიცილის ობიექტი ხდებით, არა?!**

— ხდება ხოლმე. ერთხელ, ლონდონში, საკმაოდ მაღალი დონის ოფიციალურ შეხვედრაზე ვიყავი. მეც არ ვიცი როგორ, მაგრამ ყვავილების ლარნაკი ავაყირავე. მთელი დარბაზი ხარხარებდა. მგონი, ცუდი არ იყო, სიცილის და დროის გატარების საშუალება მივეცი მათ.

**— ბატონო გურამ, მეგობარი ადამიანის თვალის ჩინია. მათ გარეშე, ალბათ, ძალზე მარტოსულად ვიგრძნობდით თავს. არა გაქვთ სურვილი, თქვენს სამეგობროზე რამე გვითხრათ?**

— მე ვამაყობ ჩემი მეგობრებით. რომ იცოდეთ, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და ყოველ მათგანს სათუთად ვუფრთხილდები. ჩემთვის ყველაზე რთული და ძნელი პერიოდი სწორედ მათ გადამატანინეს. მე მარტოხელა კაცი ვარ, არც და მყავს, არც — ძმა. ჩემი ახლობლები და ძმაკაცები ყოველთვის ჩემს გვერდით არიან და ამ დანაკლისს მივსებენ. მე ისინი ყველა მიყვარს. მე მთელი საქართველო მიყვარს.

**ირმა ჩაიტაია**

გამოხმაურება. ანუ რამ ააღელვა სამოც წელს გადაცილებული კაცი?

# ვის და რატომ აღელვებს სტილისტ საშას ორსქესიანობა?!

მამატიოს ყველა ჰომოსექსუალისტმა, ანუ, როგორც ხალხში „მოფერებით" ეძახიან— პედერასტმა, მაგრამ მე რომ ამ საკითხზე ჩემი აზრი არ გამოვთქვა, საიქიოში დარდად წამყვება.

არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც კაცობრიობის ინტერესებს, ბუნებრივ კანონზომიერებას თავიანთ ხუშტურს უმორჩილებენ და არად დაგიდევენ ზნეობრიობას, მაგრამ, ჩემის აზრით, ზნეობის დამთრგუნველთა საწინააღმდეგოდ თუ ჩვენ ჩვენი სიტყვა არ ვთქვით, საქართველო დღეს-ხვალ აღარ იარსებებს და თუ იარსებებს, იქნება პედერასტებისა და ბოზების ქვეყანა!

კი, ბატონო, არსებობენ ღმერთისგან თუ ეშმასგან დასჯილი არსებები, რომლებსაც ბოლომდე არა აქვთ გარკვეული თავიანთი სქესი, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ იმ ნაძირალებმა ყველა ნაძირალად აქციონ? მკითხველი გაოცდება ალბათ (განსაკუთრებით გაურკვეველი სქესის წარმომადგენლები) ავტორის მკაცრი ტონით, მაგრამ ავტორს წარმოდგენილი აქვს საქართველოს ხვალინდელი დღე, რომ ხვალ-ზეგ მამაკაცი ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, მამრი აღარ გვეყოლება ერთი უბრალო მიზეზის გამო — დღეს არსებული ჰომოსექსუალისტები, განსაკუთრებით „ცნობილი" პედერასტები გარდა იმისა, რომ ითრევენ და აუპატიურებენ მცირეწლოვან ბიჭებს, აგიტაციასაც უწევენ ამ ბინძურ „საქმიანობას"!

გესმით, ხალხო, რა ხდება?! ჩემს ბიჭობაში თბილისში 4-5 ცისფერი იყო და ყველას გვარ-სახელები ვიცოდით. ესენი, რა თქმა უნდა, ის პიროვნებები იყვნენ, რომლებიც ვეღარ მალავდნენ თავიანთ ორიენტაციას, მაგრამ არავის მოუწოდებდნენ ცისფერობისკენ.

ჯერ კიდევ კომუნისტების ბატონობის პერიოდში თბილისის შემოგარენის ერთ-ერთ უბანში საშინელი სიბილწე მოხდა: 26 წლის ვაჟმა თავის სამუშაო ადგილზე შეიტყუა 11 წლის ბიჭი და გააუპატიურა. ბავშვი მორალურად განადგურებული მივიდა სახლში და მომხდარის შესახებ მშობლებს უთხრა. მშობლებმა სასწრაფოდ შეატყობინეს მილიციას და ის მოძალადე ნაძირალა დააჭერინეს, მაგრამ ეს ამბავი ამით როდი დამთავრდა. უბანმა ყველაფერი შეიტყო და მტრისას, რაც მაშინ იქ დატრიალდა! აბობოქრებული ხალხი შეცვივდა მილიციის სამორიგეოში, გატეხეს საკანი, წაიყვანეს პატიმარი და თავიანთი უბნის ცენტრში წიხლებით, ქვებით და ხელკეტებით ცოფიანი ძაღლივით მოკლეს. როდესაც იმ ნაძირალას დასაფლავების დღე დადგა, ერთხელ კიდევ აბობოქრდა უბანი და დაღუპულის მშობლებს უფლება არ მისცეს მიცვალებულის სასაფლაოზე დასაფლავებისა. რას იზამდნენ უბედური მშობლები? — საკუთარ ეზოში დაასაფლავეს და მე მგონი, იმ დღეს თვითონაც ცოცხლად დასაფლავდნენ, რადგან იმ ოჯახს ადამიანებად აღარ თვლიდნენ.

რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი ბარბაროსობაა, მაგრამ იმგვარ პირუტყვს სიბილწე ერთხელ თუ აპატიე, მეორედ და მესამედაც ჩაიდენს, თუ მეტჯერ არა. ჩემი აზრით, ყველა მსგავსი საქციელის ჩამდენი უნდა დაისაჯოს, ოღონდ ზემოთ აღწერილი მეთოდებით კი არა, ცივილურად, ისე, როგორც უამრავ ქვეყანაში დღემდეა მიღებული.

როგორც წესი, ჰომოსექსუალისტებს, ნარკომანებსა და ლოთებს მედიცინის მუშაკები ავადმყოფებად თვლიან და ამის გამო არავის აქვს უფლება ამ კატეგორიის არსებები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, თორემ...

ისინი იზოლირებულნი უნდა იქნან. ცოფიანი ძაღლიც ავადმყოფია, მაგრამ თუ არ გააუვნებელჰყავი, ასობით ადამიანს გაისტუმრებს გაღმა!

„არ მრცხვენია, რომ ბისექსუალი ვარ!" — ამ სათაურით 2001 წლის ჟურნალ „გზის" №40-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ვინმე საშა სომხიშვილთან. დღევანდელ პირობებში თითქოს ასაღელვებელი და დასაფიქრებელიც არაფერი არ არის იმ ფონზე, რაც დღევანდელ უზნეობის ბუდედ ქცეულ თბილისში ხდება, მაგრამ მე მგონია, რომ ამ ინტერვიუს რესპონდენტიც, კორესპონდენტიც და ჟურნალის რედაქტორიც სასტიკად სცოდავენ ღმერთის, ხალხის და ქართველი წმინდანების წინაშე.

ხალხო, რას შვებით, რას?! ის, რომ საშა სომხიშვილს არ რცხვენია თავისი ორსქესიანობა (უფრო სწორად — გაურკვეველსქესიანობა), ეს საზოგადოებისთვის რა დიდი შეღავათია?! იმის მაგიერ, რომ დიდი და პატარა ბოლომდე პირქვედამხობილი ქვეყნის ფეხზე წამოსაყენებლად დაირაზმოს: როგორმე მატერიალური დოვლათი შევქმნათ, იქნებ ხალხი დავასაქმოთ, მივცეთ ჩვენს ცოცხლად დასამარებულ საზოგადოებას ადამიანური ცხოვრების საშუალება — ხელფასები, პენსიები და არა სასჯელის უმაღლესი ზომა 14 ლარი პენსიის სახით, რაებს წერთ, რაზე ხარჯავთ ქაღალდს, დროსა და ენერგიას? იმაზე, რომ ვიღაც საშას ქალობაც შეუძლია და კაცობაც?!

მე მინდა ქვემოთ მოვიყვანო ამ ინტერვიუს ზოგიერთი პუნქტი, რათა მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რამ ააღელვა სამოცს კაი ხნის წინ გადაცილებული კაცი. თანაც დღეს ცოტა ვინმე თუ ყიდულობს ჟურნალ-გაზეთებს და შეიძლება წაკითხულიც არ ჰქონდეს.

მაშ ასე, მოგვყავს ინტერვიუს ზოგიერთი პუნქტი:

„— საკმაოდ ცნობილი სტილისტი ხარ (რატომღაც პარიკმახერს არ უწოდებს თავის მომხიბლავ რესპონდენტს). ისევე, როგორც ყველა პოპულარულ ადამიანზე, შენზეც ჭორაობენ, რომ გეი ხარ (როგორც ჩანს, პედერასტი მოფერებით გეისაც ნიშნავს).

— არ ჭორაობენ — მე არ ვმალავ, რომ სიყვარულის ნებისმიერ ფორმას ვაღიარებ. მომწონს ქალებიც და კაცებიც. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ" (ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!).

გეი ასე იშიფრება: გაიცანით, ეს იმნაირია! ან ასე: გარეწარია, ერიდეთ, ინანებთ! სხვათაშორის, გარკვეული წლების წინ „იმნაირი" შეურაცხმყოფელი სიტყვა იყო და ნიშნავდა ბოზსაც და პედერასტსაც.

იმნაირი, ანუ პედერასტი ყოველთვის სირცხვილი იყო. დღეს რატომ არ არის სირცხვილი? იქნებ თქვათ, დემოკრატიააო. ხალხო, გაიგეთ! დემოკრატია უსირცხვილობა კი არა, კანონის უზენაესობაა და მეტი არაფერი. იმის გამო, რომ ჩვენში კანონი არ არსებობს და, ვისაც რა უნდა, იმას სჩადის, ეს დემოკრატიაა?!

„— როდის აღმოაჩინე, რომ მამაკაცები უფრო მოგწონდა?

— პატარა ვიყავი, როცა ბიძაჩემმა რაღაც კასეტები მოიტანა. სახლში მარტო დარჩენილმა ამ კასეტების ნახვა გადავწყვიტე. აღმოჩნდა, რომ ეს იყო წმინდა წყლის „პორნო". ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ მამაკაცების ქცევა, აღნაგობა და ხმა უფრო აღმაგზნებდა. გავიდა ხანი. 16 წლის ვიყავი, აპრილის ერთ მზიან დღეს დამირეკა ქართველმა მეგობარმა — ამანათი მომივიდა, გამოდი, დაველიოთო. რომ მივედი, იქ სხვებიც დამხვდნენ. დავთვერით და... მერე აღარაფერი მახსოვს. აზრზე დილით მოვედი. ყველაფერი აღვიდგინე მეხსიერებაში, იქიდან გამოვიპარე და განადგურებული მოვდიოდი: „ნუთუ მეც მათ სიაში ჩავეწერე?" — ვფიქრობდი და სიცოცხლე აღარ მინდოდა. კარგა ხანს დეპრესიაში ვიყავი... მერე ჩავაბარე მუსიკალურ აკადემიაში. მოგეხსენებათ, ხელოვანი ხალხის ცხოვრება როგორია. მივიხედმოვიხედე და აღმოჩნდა, რომ ჩემს გარშემო ჩემნაირი ბლომადაა!".. გაიგეთ, ხალხო, რაებს მიქარავს საშა?! გამოდის, რომ ხელოვნების დარგში დაახლოებით ნახევარი მაინც საშასნაირია. ეს ხომ აშკარა შეურაცხყოფაა ამ დარგის წარმომადგენლებისა! მე, როგორც მუსიკოსის შვილი, იმდენ გინებას ვუგზავნი ნახევრად საშას და ნახევრად... მთელ მის საგვარეულოს ეყოფა... ხუთი შვილის პატრონი მამაჩემი კაცობის განსახიერება იყო და რასაც საშა სჩადის, იმ საქციელზე სიტყვაც არ წამოსცდებოდა სიბილწის გამო.

„— შენმა შვილმა დანიმ რომ შენნაირი ცხოვრების წესი აირჩიოს?

— არა, ეს არ უნდა მოხდეს. მე ამის წინააღმდეგი ვარ, თუმცა, თუ ერთ მშვენიერ დღეს განმიცხადებს, რომ მას მამაკაცები უფრო მოსწონს, ცემა-ტყეპას არ დავუწყებ, რადგან ყველა ადამიანს უფლება აქვს, იცხოვროს ისე, როგორც სურს..."

აი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რისკენ მოუწოდებენ ჩვენს ისედაც თავგზააბნეულ, უმიზნოდ მცხოვრებ, ლოთობისა და ნარკომანიისაკენ მიდრეკილ ახალგაზრდობას!.. ეს ხომ აშკარა დანაშაულია, ეს ხომ აგიტაციის ტოლფასი თქმაა — „ყველა ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც სურს!.." თითქოს იმაზე იყოს საუბარი, ვისაც უნდა — ისწავლოს, ვისაც უნდა — სოფლის მეურნეობას მოჰკიდოს ხელიო და ა.შ. ეი. იმდენად გაუბრალოებულია მისი ბილწი საქციელი, რომ არც თვითონ მიაჩნია არაფრად, არც შვილის მომავალზე ზრუნავს და სხვები ხომ საერთოდ ფეხებზე ჰკიდია.

„— თუ გყავს მუდმივი მეგობარი ქალი ან მამაკაცი?

— არა, ერთხელ შემიყვარდა ადამიანი და ის ჩემი ცოლი გახდა. ჩემმა მეუღლემ იცის, რომ ჰომოსექსუალისტი ვარ, მაგრამ ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს და არც მე ვარ წინააღმდეგი, რომ მან სხვა მამაკაცთან ან ქალთან იმეგობროს"

აი, როგორი არ უნდა იყოს ოჯახი, რომლითაც თავი მოაქვს საშას (მომკალით და კარგად შეურჩევიათ სახელი, საშა ქალებსაც ჰქვიათ და კაცებსაც).

„— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— უფრო ლონიერ და ვაჟკაცურ მამაკაცებს ვამჯობინებ. მაღალი, სწორფეხებიანი, ლამაზი საჯდომითა და კოხტა თეძოებით"...

შენს დამბადებელ-გამზრდელს რა ვუთხარი მე! განა შიშველ ქალზე ლამაზი არსება დადის დედამიწის ზურგზე! კაცების თეძოებს რას ათვალიერებ?! გახადე ერთხელ შენს ცოლს და კარგად დაათვალიერე, ნახე, რა სილამაზეს არიდებ თვალს და რა სიბილწეს ჩმახავ.

„— რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში, ამის შანსი რომ გქონდეს?

— არაფერს. მე ვთვლი, რომ სწორად ვცხოვრობ. ადამიანთა უმეტესობას რომ შეხედავ, ქალი ქალია, კაცი — კაცი, მე კი ორივე ვარ. ჩემნაირ ადამიანებს განსხვავებული ხედვა აქვთ, ამიტომ არის, რომ შოუ-ბიზნესი იქნება თუ სხვა სფერო, ჩემნაირი ადამიანები დიდ წარმატებებს აღწევენ. მე პირადად თვეში 2000-დან 3000-მდე ლარს ვშოულობ..."

ოჰ, როგორ მოუხდებოდა აქ ერთი ასეთი ლოზუნგი: „გინდათ წარმატებებს მიაღწიოთ ყველა სფეროში? — გაპედერასტიდით!" ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟბატონი საშიკო ყველას მოგვიწოდებს გაცისფერებისაკენ, მე კი ცისფერი აღარც ფიროსმანის დახატული ცა მომწონს — ასე მგონია, იქიდანაც საშიკო-მაშიკოები გამოფრინდებიან-მეთქი!

„— რაზე ოცნებობ?

— მინდა თბილისში ჩამოვაყალიბო გეი-კლუბი, რომელსაც „საშას კლუბი" ერქმევა და ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის ჰეტეროსექსუალებსაც შეეძლებათ მისვლა. ამას დიდი თანხა და „კრიშა" სჭირდება.

— მერე საიდან?

— ახლახან ისრაელიდან მეგობარი ჩამომივიდა, რომელსაც ბევრი ფული აქვს. „კრიშის" მოძებნა კი არ გამიჭირდება, საკმაოდ ბევრი გავლენიანი ახლობელი მყავს. ეს ერთგვარი ბიზნესიც იქნება. თანაც გეების უმრავლესობა ქუჩაში ყრია, ცირკთან დგას და მოუწესრიგებელ ცხოვრებას ეწევა. ამ კლუბში კი მათ შესაძლებლობა ექნებათ ნორმალურად გაატარონ დრო. მე ბევრ მათგანს ვიცნობ და ასე ვთქვათ, მათი „პაპულიჩკა" ვარ"...

რაღა გვიჭირს?! ეს კლუბი თუ გაიხსნა, ქვეყანაფეხზე წამოდგება, პედერასტები დასაქმდებიან და შემოსავლით ბიუჯეტი შეივსება. მე მინდა საშას შევახსენო, კლუბში თავისი მშობლების, მეუღლის და სხვა სისხლით ნათესავების დასაქმება არ დაავიწყდეს.

იმიტომ მიდის ქვეყნის საქმე უკანალისკენ, რომ ჩვენი მამაკაცების გარკვეული ნაწილი საშას ცხოვრებით ცხოვრობს.

თქვენი არ ვიცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ცოტა ხანში ბოლო არ მოეღება იმ გათახსირებულობას, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რის გამოც წერის დროს უკვე მესამედ ამერია გული — სოდომისა და გომორის ბედი არ აგვცდება.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავი სახეები

# ზურაბ ანჯაფარიძის წარმატების საიდუმლო მისმა დღიურებმა გაამჟღავნა



ზურაბ ანჯაფარიძე, ნიკო ხატიაშვილი, 1950 წ.

ასე სიცილ-სიცილით გაგრძელდა ქეიფი.

**— ბატონო ნიკო, თქვენ თანაკლასელები ახსენეთ. რამდენადაც ვიცი, ეს ის ჯგუფია, რომელმაც შემდეგში ბრწყინვალე თაობა შექმნა. უდარდელი ბავშვობა გქონდათო, ვერ ვიტყვით, რადგან ის ომის წლებს უკავშირდება. რა იყო ის, რაც გავსებდათ და გახარებდათ იმ გაუხარელ პერიოდში?**

— მართლაც, მიუხედავად ომისა და გაჭირვებისა, ძალიან ტკბილად ვიხსენებ ყოველ დღეს, რაც ერთად გაგვიტარებია. საერთოდ, ვთვლი, რომ მეგობრობა უმეტესწილად სკოლის მერხიდან იწყება. ეს ის ასაკია, როცა ყველა თანაბარია და ერთმანეთს ვერაფრით გააკვირვებ. საოცრად გვიყვარდა ერთმანეთი და ერთმანეთისთვის სიმდიდრეს წარმოვადგენდით. დღე არ გავიდოდა, რომ რუსთაველზე არ გაგვევლო. ბავშვობაში თეატრმა გაგვიტაცა. ძირითადად, ეს იყო ადგილი, სადაც საღამოებს ვატარებდით. ბილეთებიც ყველაზე იაფი ღირდა. თანაც დარბაზი თბებოდა. 1945 წელს დავამთავრეთ სკოლა. მძიმე დრო იდგა და ყველას ერთიანად გვიჭირდა. სახლებში გათბობა არ გვქონდა და შევდიოდით ხან რუსთაველის თეატრში, ხან ოპერაში. პარტერის პირველ რიგში ან ლოჟაში ვინ დაგვსვამდა?! ქანდარაზე ვიყავით. როცა გვინდოდა, გამოვდიოდით, როცა გვინდოდა, შევდიოდით. მახსოვს, „ევგენი ონეგინი" გადიოდა. ის ეპიზოდი, როცა ტატიანა წერდა წერილს, საკმაოდ ვრცელი იყო. შეუდგებოდა თუ არა წერას, გავიკრიფებოდით, დაასრულებდა და ჩვენც შემოვდიოდით. ამით რა მინდა გითხრათ? სულიერი საზრდო გვკვებავდა. არ არსებობდა დღე, რომ არ გვენახა სპექტაკლი. ამან დიდი როლი ითამაშა ჩვენზე. გაგვილვივა ის გრძნობა, რითაც შევძელით შეგვეგრძნო და გაგვეცნობიერებინა ესა თუ ის წარმოდგენა. ერთმანეთში ვმსჯელობდით. ყველას ჰყავდა თავისი კუმირი, მაგრამ აუცილებლად უნდა დაგვესაბუთებინა, რატომ მოგვწონდა! არგუმენტების გარეშე ჩვენ არ ვსაუბრობდით.

**— ბატონო ნიკო, ვგრძნობ, რომ ზურაბ ანჯაფარიძე თქვენთვის უკვე ტკივილია, ძნელია არსებობა ასეთი მეგობრის გარეშე, მაგრამ... სიცოცხლე გრძელდება, თურმე შესაძლოა ზურაბ ანჯაფარიძე განმეორდეს! ამაში პატარა ზურიკოს ნიჭიერებაც გვარწმუნებს. რას გვეტყვით მასზე?**

— ასეთ რამეს გეტყვით: როცა პატარა ზურიკო გაჩნდა, ზურაბი ამაყობდა და ამბობდა, მე გინესის წიგნში უნდა შემიყვანონ, ბიჭი 60 წლის ასაკში „შავქმენიო". ძალიან განიცდიდა, რომ ზურიკომ ცოტა გვიან დაიწყო ლაპარაკი. მართლაც, პატარა ხმას არ იღებდა, ხრა და არა! ყველასდა გასაოცრად, პირველად სიმღერა დაიწყო. ასე ვთქვათ, სიმღერით „აიდგა ენა". ახლა კი იმდენს ლაპარაკობს, რომ ვეღარ ვაჩერებთ (იცინის). სხვათაშორის, მისი ნიჭი ორი მიმართულებით გამოვლინდა: ერთია სიმღერა და მეორე, ხატვა. მინდა გითხრათ, რომ ზურაბის ქვრივი, ქალბატონი მარინა მაჭავარიანი აქ გამოჩნდა შესანიშნავი დედა და კარგ განათლებას აძლევს შვილს.

ძნელი სათქმელია, როგორი იქნება პატარა ზურაბი „მუტაციის" პერიოდის გავლის შემდეგ — როგორი ხმა ექნება მას. წინასწარი მონაცემები კი კარგი აქვს.

**— როგორც ამბობენ, ბატონ ზურაბს პირველი ქორწინებიდანაც ჰყავდა შვილი.**

— დიახ, ნამდვილად ჰყავს — ეთერ ანჯაფარიძე. იგი ნიუ-იორკში ცხოვრობს და ითვლება საერთაშორისო კლასის პიანისტად, რომელიც წარმატებით ეწევა საგასტროლო მოღვაწეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და არაერთ საერთაშორისო კონკურსშია გამარჯვებული.

**მარი ჩიტაია**

P.S. ზურაბ ანჯაფარიძეზე სათქმელსაწერს რა გამოგვილევს. შეუძლებელია დიდი ადამიანის ცხოვრების ერთი საგაზეთო სტატიით გადმოცემა...

ჩემს რესპონდენტს პირველად ზურაბ ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე „დავადგი თვალი". დიდ მომღერალზე და უძვირფასეს მეგობარზე უჩვეულო პათოსით საუბრობდა ნიკო ხატიაშვილი, თავადაც შესანიშნავი პიროვნება. ამას მოჰყვა ჩემი მოკრძალებული სატელეფონო ზარიც.

— სიცოცხლეშივე უნდა მოვეფეროთ, მოვესიყვარულოთ ერთმანეთს, რომ სული გავიკეთილშობილოთ და ცხოვრება გავიხანგრძლივოთ — მითხრა ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ და სახეზე ნათელმა ღიმილმა გაჰკრა...



ოჯახი

საოცარია ისიც, რომ ბატონ ნიკოს არც მეგობრის სიკვდილის შემდეგ შეუწყვეტია ამქვეყნიდან წასულ ძმაკაცზე ფიქრი. ისევ გრძელდება მეგობრისადმი მიძღვნილი წერილების სერია. მისამართიც, ბუნებრივია, უცვლელი რჩება: „თბილისი, ოპერის ბალი, ზურაბ ანჯაფარიძეს".

## ფრიადოსნის ატესტატების ნახევარი ყალბია?!



# თემურ ქორიძე: „განათლებაში რეფორმა თუ არ მოხდა, უფსკრულში გადავიჩეხებით"

*უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა ხშირად ხდება საუბრის და ზოგჯერ კრიტიკის საგანიც. ინსტიტუტების და უნივერსიტეტების რაოდენობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საზოგადოებაში. გვჭირდება თუ არა ამდენი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი? — ეს კითხვა ბევრს მოსვენებას არ აძლევს.*

*ვესაუბრებით საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲥᲝᲠᲘᲫᲔᲡ.*

**— საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების ბუმია, წელიწადში თითოეულ დარგში, ალბათ, 1000 სპეციალისტს მაინც ამზადებენ. რამდენად მისაღებად გეჩვენებათ ეს ტენდენცია. გვჭირდება ამდენი უმაღლესდამთავრებული?**

— გეთანხმებით, უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი საგრძნობლად დიდია. თუმცა ეს საგანგაშო არ გახლავთ, თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისინი ჯანსაღ კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს.

შარშან დაბალი რეიტინგის გამო უმაღლესი სასწავლებლების 70%-ს მიღება არ ჰქონია. ღრმად ვარ დარწმუნებული, ორ-სამ წელიწადში ბევრი მათგანი დაიხურება და მხოლოდ ღირსეულები დარჩებიან, სადაც არის პატიოსნება, სწავლების მაღალი დონე, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიონალიზმი.

**— ეს საშიშროება თქვენ არ გემუქრებათ? თქვენი უნივერსიტეტი რით განსხვავდება სხვათაგან?**

— ჩვენ მისაღებ გამოცდებს მკაცრად და ობიექტურად ვიბარებთ. ისინი აქ გაცილებით ადრე ტარდება, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამიტომ, ვისაც ჩვენთან სწავლის სურვილი აქვს, პირდაპირ აქ მოდის. სწავლების დონე მაღალია, ჩვენ ყველაზე მაღალი რეიტინგი გვაქვს ამ მხრივ. არცერთი პედაგოგი ხარისხის გარეშე არ მუშაობს. 150-მდე პროფესორი, დოცენტი და აკადემიკოსი გვყავს და შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვაქვს. პედაგოგების შერჩევაც კონკურსის წესით ხდება. შეიძლება, პროფესორი იყოს კაცი, მაგრამ თანამედროვე სტანდარტებს არ შეეფერებოდეს. მათ ახალგაზრდებთან საერთო ენის გამონახვა უნდა შეეძლოთ. ლექციის წაკითხვა იგივე ხელოვნებაა.

**— ბატონო თემურ, უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებულ მექრთამეობასა და კორუფციაზე ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ. ეს პრობლემა თქვენს უნივერსიტეტსაც აწუხებს, ალბათ.**

— როგორ გეკადრებათ. ჩვენ ისეთი პროფესორ-მასწავლებლები გვაყვს, ამგვარი რამ ფიქრადაც არ მოუვათ. უნივერსიტეტში პატიოსნება და ღირსება ყველაზე ძვირად ფასობს.

**— ბევრ სტუდენტს ემართება ხოლმე, უმაღლესის დამთავრების შემდეგ მუყაოს ორი ყდა შერჩება ხელში, რომელსაც არავინ არაფრად აგდებს. თქვენი უნივერსიტეტის დიპლომი რამდენად ეფექტურია?**

— დღეს ბევრს საუბრობენ, ამდენი სპეციალისტი ამთავრებს სასწავლებელს, რა გვეშველებაო. ეგ არ არის პრობლემა. ადამიანი დიპლომით კი არ ფასდება, არამედ ცოდნით, განათლებით. ძლიერ სპეციალისტს დღეს სამსახურის პოვნა არ გაუძნელდება. მის დიპლომს არავინ უყურებს. ისე, მოსახლეობა ხშირად მართლა მოტყუებული რჩება. უმაღლესი განათლების მიღება შეღავათიან ფასში — ამგვარი სატელევიზიო რეკლამა ხშირად ანკესზე წამოაგებთ ხოლმე. სახელმწიფო სასწავლებელშიც არის ფასიანი სექტორი. თუ თითოეული სტუდენტის მომზადება იქ 1200 ლარი ჯდება წელიწადში, სხვა სასწავლებლებს როგორ შეუძლიათ 300-400 ლარად ამ პროცესის ჩატარება? მაგრამ როგორიც სწავლის შესაბამისი თანხაა, განათლებასაც ისეთს იძლევიან.

ჩვენთან წესრიგი რომ დამყარდეს და სწავლა მაღალი ხარისხით მიმდინარეობდეს, საკმაო სიმკაცრეს ვიჩენთ. დაბალი აკადემიური მოსწრების გამო წელიწადში უნივერსიტეტიდან 200-მდე სტუდენტს ვრიცხავთ. ამდენი საერთოდ არა ჰყავს ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ხომ ზედმეტია საუბარი. ბევრი ინსტიტუტი ბოსელშია გახსნილი და შეიძლება კაცმა ბოსელში უმაღლესი განათლება მიიღოს? დღეს საქართველოში სტომატოლოგიური დარგის ბუმია. როგორც შეიძლება ადამიანმა მარტო თეორიის საფუძველზე სტომატოლოგია ისწავლოს?

ჩვენთან ერთი პერიოდი ლიცენზირებასთან დაკავშირებით გამოცდები ტარდებოდა. ბევრი უმაღლესდამთავრებულის ისეთი დაბალი დონე აღმოაჩინეს, გაოცდება კაცი. პაციენტთან ურთიერთობა კი არა, ბევრ მათგანს ბუნიკიც არ სჭერია ხელში.

„სდასუში" სწავლების დონე ძალიან მაღალია, ჩვენი სტომატოლოგიური კლინიკა გვაქვს, რომლის მოწყობილობაზე ლონდონის უნივერსიტეტი დაგვეხმარა. საქართველოში მისი ანალოგი არ არის. ჩვენი სტუდენტები მე-4-5 კურსზე ამ განყოფილებაში პაციენტს უფასოდ იღებენ და მასთან ურთიერთობაში მეტ გამოცდილებას და ცოდნას იძენენ.

**— მართალია, კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ნახევარი საქართველო, მაგრამ სიტყვა ფასიანის ხსენება არც ისე საამაყოდ ეჩვენება სტუდენტებს და მათ მშობლებს. არჩევანს იძულებით აკეთებენ...**

— ძალიან ცდებიან, ფასიანი სწავლება ცუდი სულაც არ გახლავთ. ოღონდ, ვინც სწავლის ქირას იხდის, მან დონეც მაღალი უნდა მოითხოვოს. არ შეიძლება, ყველა უმაღლესი სასწავლებელი ერთ ტაფაში მოახვედრო. დაუშვებელია ამის ასე დახარისხება: ფასიანი, უფასო, სახელმწიფო, კერძო. ამას ძველი მენტალიტეტის მქონე ადამიანები აკეთებენ. მეტსაც გეტყვით, კაპიტალისტურ წყობაში ყველაფერი ფასიანი უნდა იყოს. რაც უფასოა, ის უხარისხოა. მოდით, ერთ მაგალითს მოგიყვანთ. სკოლებიც არსებობს კერძო. როგორ ფიქრობთ, სწავლა სად უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს, ფასიან — კერძო, თუ სახელმწიფო სკოლებში? ამ უკანასკნელში რომ შეიხედო, გული გაგისკდება ადამიანს. მე-10-11 კლასის მოსწავლეები არც დადიან სკოლაში. მშობლები მათ კერძო მასწავლებლებთან ამზადებენ 2-3 საგანში, ხოლო ბავშვს რომ ზოგადი განათლების მიღებაც სჭირდება, ამაზე არავინ ფიქრობს. ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ხმას არავინ იღებს. პედაგოგების მხრიდან დიდ ანგარებასთან გვაქვს საქმე. განათლების სისტემას სასწრაფოდ რეფორმა სჭირდება. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე უფსკრულში გადავიჩეხებით. ბოლო 10 წლის განმავლობაში სწავლების დონე საერთოდ დავარდა. ფრიადოსნების რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა. ჩვენს უნივერსიტეტში, მაგალითად, ფრიადოსნებისათვის შეღავათია დაწესებული. მათ უგამოცდოდ ვიღებთ და სტიპენ-



დიას — 50 ლარს ვუნიშნავთ. ერთი სემესტრის შემდეგ მშვენივრად ჩანს, რომ ფრიადოსნის ატესტატების ნახევარი მაინც ყალბია. ბუნებრივია, მათ სტიპენდიაც უწყდებათ და გაირიცხებიან კიდეც, მაგრამ ეს ქვეყანას უშველის? პედაგოგები ხელფასების მომატებას ითხოვენ, კი ბატონო, მაგრამ ის რატომ ავიწყდებათ, რომ ბევრი მათგანის გულგრილი, ანგარებიანი დამოკიდებულება საქმისადმი მოსწავლესაც ღუპავს და შესაბამისად, სახელმწიფოსაც. თუ ასე გაგრძელდა, მშობლები, რომლებმაც სწავლის ფასი იციან, შვილს სკოლიდან გამოიყვანენ და მაგალითად, ჩვენს ლიცეუმსა და კოლეჯში მოიყვანენ, სადაც სწავლების დონე ისევე მაღალია, როგორც „სდასუში".

**— უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თუ გაქვთ კონტაქტები?**

— ძალიან ბევრთან. ისრაელის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებთან გვაქვს ურთიერთობა. კემბრიჯის, ოქსფორდის უნივერსიტეტებს ვეკონტაქტებით. ისინი სასწავლო პროცესის დახვეწაში გვეხმარებიან. ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს სტუდენტებსაც ვაგზავნით იქ სასწავლებლად.

**— რეკლამების მიხედვით ბევრი უმაღლესი სასწავლებლის სერთიფიკატი უცხოეთში ეფექტურად „ჭრის"...**

— რეკლამაში ყველაფერს ამბობენ. ამ სერთიფიკატის გაცემა დღეს ყველას შეუძლია. მთავარია, მას იურიდიულად რა დონის ძალა აქვს საზღვარგარეთ. თუ დამერწმუნებით, ასეთი ეფექტური სერთიფიკატი დღეს საქართველოში არ არსებობს.

**— ამბობენ, „სდასუში" სტიპენდიებსაც აძლევენ სტუდენტებსო...**

— მართალი ხართ, ჩვენ სტიპენდიას გავცემთ, თანაც არა მარტო ფრიადოსნებზე. თანხა ცხადია, სხვადასხვაგვარია ხუთოსნისა და სამოსნისთვის, მაგრამ მას ყველა იღებს, ვისაც გაცდენები არა აქვს. ამით ჩვენ მოვაწესრიგეთ ერთი პრობლემა. სტუდენტების უნივერსიტეტში მოსვლის და ლექციებზე დასწრების პრობლემა მოიხსნა, სწავლების დონემ კი უფრო მოიმატა.

**ნანა ძველაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზა ცათა სასუფევლისა

# „ვისი შემოქმედებაც ღმერთს პატივს არა სცემს, მამონას — ეშმაკის თაყვანისმცემელია“

*რელიგია და ხელოვნება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ცნებებია. აღიარებს თუ არა პირველი მეორის არსებობის აუცილებლობას? ყველაფერის ის, რაც ხელოვნებისთვის კანონზომიერია, ხშირად რელიგიისთვის მიუღებელია და თავაშვეულობას ნიშნავს. ხოლო ის, რაც რელიგიისთვის კანონზომიერია, ხელოვნების დარგის წარმომადგენელთათვის ჩამორჩენილობის ატრიბუტია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ორივეს ერთდროულად ეზიარებოდეს ადამიანი? რომელია მათგან უფრო მნიშვნელოვანი?*

— პირველ რიგში, ალბათ, უპრიანი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ხელოვნება ხელოვნურს ნიშნავს, არა თავისთავად განვითარებულს, ღვთაებრივ შემოქმედებას, არამედ კაცურს. მასში ადამიანს თავისი პირადი, სუბიექტური ნიუანსები აქვს ჩადებული.

ეკლესია, ცხადია, ჭეშმარიტ კულტურას არ უარყოფს, რომელიც ღმერთის სადიდებლად და ადამიანის სულის სახსნელად, გადასარჩენად არის შექმნილი. ამის მაგალითია ეკლესიებში არსებული გალობა, ხატწერა, ფრესკები, ფერწერა, მინიატურები, აგრეთვე არქიტექტურა. ყოველივე ეს გაერთიანებულია კულტურაში, ხელოვნებაში, რომელიც უეჭველია ადამიანს სჭირდება. ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ფენომენისა, რასაც ეკლესია ჰქვია. ხელოვნება ეკლესიის წიაღში იშვა — ამგვარი შეხედულება გააჩნია დეკანოზ **ზაქარია ძინძიბაძეს** ხელოვნების თაობაზე.

*...თუმცა, ხელოვნების ბევრი მიმართულება ნამდვილად არა ჰგავს ეკლესიის წიაღში შობილს. ისინი მართლა ხელოვნურია და ადამიანს არა სჭირდება. შეიძლება, იგი ზოგჯერ დამაბრკოლებელიც იყოს, ჭეშმარიტ, ღმერთისკენ მიმავალ გზას კი არ ემსახურებოდეს, არამედ ბოროტისკენ იყოს მიმართული და იდეაშივე არასწორი იყოს.*



*ფენომენი ხელოვნებისა იმდენად მრავალფეროვანია, საჭიროა გარკვევა, რომელია ჭეშმარიტი, ნამდვილი, ადამიანისთვის სიკეთისა და ბედნიერების მომტანი და რომელი არა.*

*რელიგიური ადამიანი თავისი ძღვევითა და მრწამსით ყოველთვის გამორჩეულია, ხელოვანი — თავისუფალი. ხშირად ხდება, მეორე პირველს ჩამორჩენილს და „გოიმს“ უწოდებს ხოლმე.*

*ადამიანი ზოგჯერ არჩევანის წინაშე დგება. უჭირს ზღვარს გადაბიჯება, არც „გოიმად“ და ჩამორჩენილად ყოფნა სიამოვნებს სხვის თვალში.*

— დამერწმუნეთ, პირიქთ არის. რელიგიური ადამიანი უფრო ამაღლებულია, გაცილებით მაღალი კულტურის და ზნეობის მატარებელია, ვიდრე ზოგადად ხელოვანი. ხელოვნებაში ბევრი სახე შედის და მათგან ბევრი დეგრადირებულია. მაგალითად, კუბიზმი ან აბსტრაქცია როგორ შეიძლება, რელიგიურ ხელოვნებაზე მაღლა იდგეს, რომელიც ღვთაებრივ, ზებუნებრივ, შთაგონებულ იდეას გამოხატავს. შეადარეთ, აბა, საეკლესიო საგალობლებს თანამედროვე მეტალიკა, ჯაზი, რომელი უფრო სასიამოვნო მოსასმენია? ასევეა არქიტექტრაც. იქმნება ახალი ფორმები, მაგრამ უძველესი კულტურის ნიმუშებს გვერდით ვერც დაუდგება. ხელოვნება იყენებს და ხელოვნების ნიმუშად აღიარებს ეკლესიას, რელიგიური ხელოვნების შედევრს — აცხადებს დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე.

**— შეიძლება თუ არა, რომ ხელოვანი ადამიანი მორწმუნე იყოს? ხომ არ ნიშნავს ეს ორი ღმერთის ერთდროულ სამსახურს?**

— აღიარება იმისა, რომ ღმერთი გწამს, სულაც არ ნიშნავს, რომ ღმერთს პატივს სცემ. ღმერთის რეალობის აღიარება ეშმაკსაც შეუძლია, აღიარებს კიდეც, მაგრამ პატივს არა სცემს.

თუ ხელოვნების ნიმუში, შემოქმედი ადამიანის მიერ შექმნილი, უფალს არ ადიდებს, ის მორწმუნედ ვერ ჩაითვლება. შეიძლება, ის თავის თავს უწოდებდეს მორწმუნეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნამდვილად ასეა. ადამიანი ან ღმერთს ადიდებს, ან მისი წინააღმდეგია. სხვა გზა არ არსებობს. ის, ვისი შემოქმედებაც ღმერთის თაყვანისმცემელი და პატივისმცემელი არ არის, მამონას თაყვანისმცემელია, მისი მონა და მორჩილია.

**— ქართულ ეკლესიაში საგალობლები სამ ხმაში სრულდება. ეს, ალბათ, ქართული სამხმიანი სიმღერის გავლენით ხდება, არა?**

— ქართული ხელოვნება მაღალ დონეზეა თუ დაბალზე, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეკლესიური იერარქია ზეციურ იერარქიას ბაძავს და მთელი საიდუმლო ამაშია. დიონისე არეოპაგელი პავლე მოციქულის მოსწავლეა. მან თავის „ზეციურ იერარქიაში“ გადმოსცა, თუ რა ხდება ზეციურ სასუფეველში. იქ იერარქიები, ანგელოსთა დასები უფალს სამ ხმაში უგალობენ. ეკლესიური საგალობლების სამხმოვანებაც სწორედ აქედან მოდის. ეს საგალობლები უფალს ადიდებს, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ღმერთის დიდებით, გალობით სასუფევლის ღირსები გავხდეთ.

**— გამოდის, მუსიკა ღვთისგან კურთხეულია. მაშინ რატომაა, რომ ზოგ მუსიკას სატანისტურს უწოდებენ?**

— ერთი და იგივე ინსტრუმენტით შეიძლება კარგი მუსიკაც გადმოსცე და ცუდიც. ამაში არ არის საქმე. მთავარია, ვის ემსახურები ამ საქმით.

**— ქართულ ეკლესიაში ბერძნული გალობა შემოვიდა. რა ხდება, რამდენად მიზანშეწონილია ეს ცვლილება?**

— საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნში წერია, რომ ეკლესიაში „სამწმიდათა ხმითა იგალობების“. ამიტომ ვალდებული ვართ, სამ ხმაში ვიგალობოთ. მარტოხელა, დაყუდებული მამები სამ ხმაში ხომ ვერ იგალობებენ? ცხადია, ერთ ხმაში გალობდნენ. ამიტომ გაჩნდნენ ერთ ხმაში გალობის მიმდევრები. ეკლესიური დოგმატიკა ამით დაირღვა. როცა ზეცაში „სამწმიდითა ხმითა“ მიმდინარეობს გალობა, ჩვენც სამ ხმაში უნდა ვიგალობოთ.

**— ზეცაში „სამწმიდათა ხმითა უგალობენ“ ანგელოსები უფალს. ქართველებიც სამხმიანი სიმღერებით ბევრი ერისაგან გამორჩეულნი ვართ. აქ პარალელის მოძებნა შეიძლება?**

— რატომ? სხვა ხალხსაც აქვს რამდენიმეხმიანი სიმღერები. ქართული ფენომენი მაინც სხვა რამეა. ქართული ეკლესია უმაღლეს დონეზე იყო, ამიტომ ქართველ კაცში გაჯდა სამმხმოვანი გალობა. ამან გავლენა მოახდინა სიმღერაზე და ისიც სამ ხმაში სრულდება.

**მარი გოგიშვილი**

## დავიბრუნოთ ჯანმრთელობა!

# როგორ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე?!

გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი, შარდსასქესო, ნერვული, ენდოკრინული და სხვა სისტემების დაავადებების ვერანაირი მკურნალობა ვერ მოგვცემს სრული განკურნების გარანტიას, თუკი არ მოხდა გაწმენდის გზით ორგანიზმის გათავისუფლება ყოველგვარი იმ მავნე ნივთიერებისაგან, რაც როგორც ჯართი, ისე დაგროვდა მასში წლების განმავლობაში.

ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების გაწმენდა აუცილებლად უნდა დავიწყოთ მხოლოდ მსხვილი ნაწლავის გაწმენდის შემდეგ. თუკი ასე არ მოვიქცევით, მაშინ წმენდა ყოველგვარ აზრს კარგავს. გავწმენდთ ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, მაგრამ ცოტა ხანში გაუწმენდავი მსხვილი ნაწლავიდან წამოსული ჭუჭყი სწრაფად დაანაგვიანებს ისევ მათ. ამიტომ ჯერ შემოგთავაზებთ მსხვილი ნაწლავის გაწმენდის ორ მარტივ მეთოდს.

— გაწმენდა ვაშლის საშუალებით. ყოველდღე 1 თვის განმავლობაში გავხეხოთ და შევჭამოთ უზმოზე 2-3 ვაშლი. მეორე თვეს იგივე გავიმეოროთ დღეგამოშვებით. ყველა შემთხვევაში საკვები უნდა მივირთვათ ვაშლის მიღებიდან 3 საათის გავლის შემდეგ.

**გაწმენდა ასკილით.** ასკილის გამშრალ ნაყოფს კარგად დავფქვავთ, შემდეგ დავაორთქლებთ და ვლებულობთ ღამით, ვახშმიდან 2-3 საათის შემდეგ ნახევარი ჩაის კოვზის ოდენობით. წმენდის ხანგრძლივობაა ერთი თვე.

თითქმის არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი წესრიგში ჰქონდეს. ამის ნიშნებია: ადამიანი გაღიზიანებულია, ხშირად აქვს თავის ტკივილები, წნევა, წარმოიქმნება სტენოკარდია, ტკივილი მუხლის სახსრებში, წელში და სასქესო ორგანოებში, თვალები ჩქარა ეღლება, აქვს უძლურების შეგრძნება, ხშირი თავბრუხვევა, გრძნობს ფეხების და კუნთების სისუსტეს, კუჭ-ნაწლავის მუშაობა დარღვეულია, საჭმლის გადამუშავების უნარი დაქვეითებული, გულისრევის შეგრძნება, კანის სიფერმკრთალე და სხვა.

ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების გაწმენდის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მათში დაგროვილი „სიმდიდრე“ გადავდენოთ ნაწლავებში, საიდანაც შემდეგ გარეთ გამოიყოფა.

**მეთოდი №1 — ე. წ. „სწრაფი მეთოდი“.**

გაწმენდამდე 10 დღით ადრე გადავდივართ ვეგეტარიანულ (უხორცო) კვებაზე, სასურველია, გაწმენდამდე 3-4 დღით ადრე დავლიოთ დიდი ოდენობით ახალგაწურული წვენები (ჭარხალი + ვაშლი 1:5 თანაფარდობით).

გაწმენდის პროცედურას შევუდგეთ საღამოს 19-20 საათიდან. იმ დღეს, დილით, ტუალეტის შემდეგ გავიკეთოთ გამწმენდი ოყნა. მთელი დღის განმავლობაში უნდა დავლიოთ ახალგამზადებული სტაფილოს წვენი, ან სტაფილო-ვაშლის წვენი ან ჭარხალი-სტაფილოს წვენი. თუ შიმშილმა შეგაწუხათ — შეიძლება მსუბუქად უხორცო საუზმის მიღება. საუზმის მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ ღვიძლის არეში დავიდოთ თბილი „გრელკა“ და ამ სათბუნებლით ვიაროთ 19-20 საათამდე.

19-20 საათზე 200 გ ზეითუნის ზეთი და 200 გ ლიმონის წვენი შევათბოთ 40 გრადუს ტემპერატურამდე. დავლიოთ ყლუპებით: ვსვამთ 1-2 ყლუპ ზეითუნის ზეთს და ვაყოლებთ იგივე რაოდენობის ლიმონის წვენს, ასე ბოლომდე. თუ გულისრევა გვაქვს, შევისვენოთ 15-20 წუთი და შემდეგ გავაგრძელოთ პროცედურა. ზეთის და წვენის მიღების შემდეგ შეგვიძლია დავიძინოთ მარცხენა გვერდზე. სასურველია, თუ მთელი ღამის განმავლობაში ღვიძლის არეზე თბილი „გრელკა“ გვექნება დადებული.

მოსალოდნელი შედეგები: დაახლოებით ღამის 11 საათზე ან უფრო გვიან (შეიძლება მეორე საღამომდე) იწყება ე. წ. ქვების, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტში დაგროვილი მთელი ჭუჭყის გამოსვლა ორგანიზმიდან. განავალთან ერთად გამოდის პლასტელინის მსგავსი მწვანე და შავი ქვები, ქოლესტერინის წარმონაქმნები, მკვდარი ლორწოვანა, მაზუთის მსგავსი ნალველი და სხვა მრავალი პათოლოგიური წარმონაქმნები. შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაწმენდით კრიზისულ მოვლენებს (საერთო სისუსტე, თავბრუხვევა და ა. შ.), რაც კანონზომიერია. ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ, ცოტა ხანში ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

მეორე დღეს, დილით, ტუალეტის შემდეგ გავიკეთოთ გამწმენდი ოყნა. პირველი საკვები, სასურველია, შედგებოდეს წვენებისაგან (სტაფილოს, ჭარხალი-ვაშლის 1:5). როცა მოგვშივდება, შეგვიძლია მივიღოთ სალათები, მოშუშული ბოსტნეული, ფაფები წყალზე. ასე ვიკვებოთ 2-3 დღე.

თუკი მე-3, მე-4 დღეს ღვიძლის არეში შევიგრძნობთ სიმძიმეს, ეს ნიშნავს, რომ ჭუჭყი მხოლოდ „დაიძრა“ ადგილიდან, მაგრამ გარეთ არ გამოვიდა. ამიტომ 2 კვირა დავისვენოთ და წმენდა ისევ გავიმეოროთ. საერთოდ, ღვიძლი საჭიროებს წელიწადში რამდენჯერმე (4-6) წმენდას.

არ შეიძლება გაწმენდა შიმშილობის, ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. უნდა დავისვენოთ 3-5 დღე და აღვიდგინოთ ძალები. ზოგიერთ ადამიანში წმენდის შემდეგ აღინიშნება პრლებინება. ამონალებ მასაში კი ლორწო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ წვენმა და ზეთმა იმოქმედა კუჭზე და გაწმინდა ის ჭუჭყისაგან. გაწმენდის დროს ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ.

**მეთოდი №2.**

მეთოდის არსი მდგომარეობს მცენარეული ზეთების (უმჯობესია მზესუმზირის ზეთი) წოვის აქტში. თავს ვხრით და 1 სუფრის კოვზ მზესუმზირის ზეთს ვიგუბებთ პირის ღრუს წინა ნაწილში. შემდგომ 15-20 წუთის განმავლობაში უნდა ვწოვოთ ეს ზეთი, ისევე როგორც საწოვარა ან კანფეტი.

ზეთის ჩაყლაპვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

წოვის პროცედურა უნდა ხდებოდეს დაძაბვის გარეშე. დასაწყისში პირის ღრუში მოთავსებული ზეთი ხდება ბლანტი, სქელი, შემდგომ კი თხევადი როგორც წყალი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადმოვაფურთხოთ. გადმოფურთხებული სითხე უნდა იყოს რძესავით თეთრი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წოვის პროცესი ბოლომდეა მიყვანილი. შემდეგ პირში გამოვივლოთ წყალი და ეს წყალიც აგრეთვე გამოვაფურთხოთ.

ეს მეთოდი ხანგრძლივი მეთოდია. ტარდება მთელი წლის განმავლობაში, ყოველ თვე 10 დღის განმავლობაში. მკურნალობის დასაწყისში შესაძლებელია წარმოიშვას გამწვავება, კერძოდ, ავადმყოფის გუნება-განწყობილების გაუარესება. ამ დროსაც არ უნდა შევწყვიტოთ მკურნალობა. ეს რეაქცია ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჯანმრთელობის მდგომარეობა უბრუნდება.

**პ. საბახტარიშვილი.**
**სამკურნალო წიგნი. ტ. 2, 3. თბილისის 1997 მიხედვით.**


ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია №091;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 მე-2 სართ.
ტელ.: 93-15-89

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ალორძინების ხანა იტალიაში; 10. კაპიტალის პროცენტად მიღებული რეგულარული შემოსავალი; 11. ქვანტური ნაწილაკის საკუთარი მექანიკური მომენტი; 12. მამალი ცხენი; 13. ორგანიზმის ავადმყოფური რეაქცია უცხო ორგანიზმის ან ცილის განმეორებით ზემოქმედებაზე; 14. სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 15. ნესტიანი, სისველემოკიდებული; 17. ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომლის სახელობის გორაზეც, თბილისში, შენდება ტაძარი; 18. მარცვლეულის სალეწი ადგილი; 19. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 20. ბუნებრივი წითელი საღებავის მომცემი მცენარე; 22. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ტანსაცმლის სიღრმე მკერდთან; 25. წვრილი გახვრეტილი ბურთულა, ძაფზე ასასხმელად განკუთვნილი; 26. ორგანიზმის ნაწილი ან ნივთიერება, მომზადებული მეცნიერული კვლევისთვის; 27. კვების დაწესებულებაში არსებული კერძების ჩამონათვალი; 29. ძველსკანდინავიური ეპიკური ლიტერატურული ძეგლი; 30. გათვითცნობიერებული მოსალოდნელი ხიფათი, საშიშროება; 33. რისამე მოქმედების გავრცელების გარემო; 35. იერუსალიმში ქრისტეს შესვლის სიმბოლოდ მიღებული მარადმწვანე მცენარე; 36. კლიმატი; 37. ცხენშებმული მსუბუქი ოთხთვალა; 39. ძვლის შიგთავსი ქონისებრი მასა; 41. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი; 42. გამოკითხვა ცოდნის შემოწმების მიზნით; 43. მღვდელმთავრის ქუდი; 45. ფეთქებადი ჭურვი; 46. ფენა, რითაც გარემოცულია რაიმე სხეული; 47. საქორწინო ლექსი ან სიმღერა ანტიკურ პოეზიაში.

**შვეულად:** 1. არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარი მხარე სამხრეთ საქართველოში; 2. მყავაგამძლე ქანი, სამშენებლო მასალა; 3. თანამდებობრივი თანრიგი, ხარისხი; 4. მცირედი განსხვავება, ელფერი; 5. ფუტკრის სახლი; 6. ხელოვნური ბოჭკო და ქსოვილი; 7. მშვილდით სატყორცნი ჯოხი; 8. წიაღისეული ქიმიური ნაერთი; 9. თევზისბოლოიანი ტკბილხმიანი ზღვის ქალი ბერძნულ მითებში; 16. ფრანგი მოხეტიალე მომღერალი პოეტი შუა საუკუნეებში; 19. უძველესი იტალიური ქალაქი ნეაპოლის მახლობლად; 21. არაბი ხელისუფალი ძველ საქართველოში; 23. თვალის ნაწილი ღაწვიდან ქუთუთომდე; 24. წელთაღრიცხვის საწყისი მომენტი; 27. ამერიკული წარმოშობის ძვირფასი წითელმერქნიანი ხე; 28. თბილისის ძველი უბანი, ისნის მომიჯნავე; 31. შექმნილი პირობები, გარემოება, მდგომარეობა; 32. მიმსგავსება, მიბაძვა; 34. გრავიურის ავტორისეული ანაბეჭდი ქაღალდზე; 35. მატარებლის მომსახურე პერსონალი; 38. ფრანგი პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი, ავტორი პრინციპისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის"; 40. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 44. ბუნებრივი წყალსატევი, ზღვასთან დაუკავშირებელი.


**განცხადება**
გაზეთი „საქართველო" აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, კულტურის განყოფილებებში.
ტელ.: 93-20-36, 899 94-77-80


სულიკო კუხალეიშვილს!
დიდი გილოცავ დაბადების დღეს. დიდ სიხარულს გისურვებ. მიყვარხარ!
*შენი მარი.*

## დათო ფორჩხიძე:

# „თამთა გოგუაძის, აჩიკო მეფარიძის და თამუნა ამონაშვილის გვერდით არ უნდა მემღერა"



**— დათო, ბევრი საუბრობს შენს ნიჭიერებაზე და იმაზეც, რომ ჯგუფმა „სახემ" რაც გააკეთა, ქართული ესტრადის დიდი ნაწილი იმას მღერის, თქვენ კი კულისებს მიღმა ხართ. რა არის ჩრდილში დგომის მიზეზი?**

— ყველას დიდი მადლობა, ვინც თვლის, რომ რაღაც კარგი გავაკეთე. შევჩერდი, იმიტომ რომ არ მინდა იმის გამეორება, რასაც ვმღეროდი. ახლის შექმნის წყურვილი მაწუხებს. ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, საჭიროა, დავინახო ხალხის მოთხოვნილება ხარისხიან მუსიკაზე. სამწუხაროდ, დღეს მოთხოვნილება შეთავაზებულ მუსიკაზე უფროა. მსმენელს ჯერ ეკონომიური მდგომარეობა უნდა გაუუმჯობესდეს, რომ მუსიკალური ჰანგები იაფფასიანი მაგნიტოფონიდან კი არა, მუსიკალური ცენტრიდან დისკზე ჩაწერილი მოისმინოს. ხარისხის დაფასებას ამის შემდეგ შეძლებს. თანამედროვე მუსიკაში ძირითადი ხარისხია. ჩემი დროებით ჩრდილში ყოფნა მუსიკისთვის თავის დანებებას არ ნიშნავს. თავს არავის ვადარებ, მაგრამ სტინგმა, მადონამ და კიდევ სხვებმა ხომ დაისვენეს? აღარ მღერიან?

**— ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდილი იყო შენი სიტყვები: „სანამ ვიცოცხლებ მე, იცოცხლებს „სახეც", როცა დადგება თქვენი სცენაზე დაბრუნების დრო, როგორი შემადგენლობით იხილავენ მას მაყურებლები?**

— ძალიან მინდა, ამას ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს. მთავარია, ხალხი დაინტერესდეს, თუ რას იმღერებენ „სახის" წევრები და არა, რა ერქმევა მათ. ეს იქნება თანამედროვე დასავლური მუსიკა. მე ჯაზის მომღერლობაზე ან ფოლკლორის და ქართული ხალხური სიმღერის შექმნაზე არა მაქვს პრეტენზია. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: ჯაზმენმა — ჯაზი, როკმენმა — როკი, „ერისიონმა" — ფოლკლორი და ა.შ. მე მაქსიმალურად დასავლური მუსიკის სპეციალისტი ვარ. ბევრს მიაჩნია, რომ ეს არაფასეული მუსიკაა. საინტერესოა, რაა დღეს ფასეული?

**— როცა ჯგუფმა დასვენება გადაწყვიტა, შენ დუეტები ჩაწერე თამთა გოგუაძესთან, აჩიკო მეფარიძესთან, თამუნა ამონაშვილთან. შენი და აჩის დუეტი კი ხშირად შენს გარეშეც სრულდება. რატომ ხდება ასე?**

— თავს უფლებას ვაძლევ და ვამბობ, რომ ამ მომღერლების გვერდით არ უნდა მემღერა. ეს ორი სხვადასხვა სამყაროა. ამაზე ცუდი ნაბიჯი ჯერ არ გადამიდგამს ჩემს ცხოვრებაში და მუსიკალურ კარიერაში. აჩისთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს და არ მინდა, რამე ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ეს სიმღერა დაშლილი იყო. სპეციალისტად მიმიჩნიეს, მიმიწვიეს, ამაწყობინეს და ჩავწერეთ. მუსიკა ფორტეპიანოზე უნდა შესრულებულიყო, მას შემდეგ მას საცეკვაო არანჟირება გაუკეთდა და მაგრად გაფუჭდა. აჩი რომ ამას მარტოც მღერის, ეს ძალიან კარგია. მუსიკა არ მომწონს, ცუდია და ამაზე გული არც დამწყდება.

**— შენსა და დათო ხუჯაძეს შორის, როგორც ჭორები ამბობენ, შავმა კატამ გაირბინა და დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. არაფერს გვეტყვი, რა ხდება?**

— არაფერი არ ხდება. ურთიერთობა ნორმალური, მეგობრული გვაქვს. ყოველ დღეს ერთად არ ვატარებთ, მაგრამ „სახიდან" რომ წავიდა, ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ცუდი ურთიერთობა უნდა გვქონდეს. მას თავისი გზა აქვს მუსიკაში, მე — ჩემი. ჩვენ ერთმანეთს ხელს არ ვუშლით.

**— როგორ გამოიყურება „სახის" სამომავლო გეგმების ანონსი?**

— „სახე" იყო და იქნება პროფესიონალთა ჯგუფი, რადგან მას კონტროლს პროფესიონალი ანუ დათო ფორჩხიძე უწევს. პირველად როცა იგი სცენაზე გამოჩნდა, ათწლიანი მუშაობის შედეგით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ამ ჯგუფს ბრალი დასდეს ზანგური, არაქართული მუსიკის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც ადრე ანსამბლ „75"-ს. მოვა დრო და „სახეზეც" იტყვიან, ქართული ჯგუფიაო, როგორც — „75"-ზე. შესვენების შემდეგ სულ ცოტა 20 სიმღერიანი ალბომით დავბრუნდებით და არა 3-4 სიმღერიანით, როგორც ეს მოდაშია.

**— რისი მოგონება გგვრით ღიმილს და კარგ განწყობას უქმნის თქვენს ჯგუფს?**

რაც „სახეს" კონცერტებზე ხდებოდა, მსგავსი საყოველთაო აღიარება ჯერ არცერთ 3-4 თვეში შექმნილ ჯგუფს არ ჰქონია. დღეს ახალგაზრდობა კონცერტებზე გასართობად, სახტუნაოდ ან სულაც ერთმანეთის სანახავად დადის, რადგან წასასვლელი არსად აქვთ და 5 ლარად მშვენივრად ერთობიან. აპარატურა არ ვარგა და მსმენელი ფილარმონიის გარდა კონცერტზე ვერსად წავა. „სახეს" ახსოვს, კონცერტის დასრულების შემდეგ, შინ დაბრუნებისას როგორ მოსდევდა 200-მდე მანქანა თაყვანისმცემლებისა 10 კილომეტრზე, რათა მხოლოდ ავტოგრაფი აეღოთ.

**— შენი შეხედულება ქართულ ესტრადაზე გასაგებია, მაგრამ როდესმე თბილისში ხომ უნდა ჩატარდეს ნორმალური, კარგი კონცერტი?**

— ცოცხლად სიმღერა ძალიან კარგია, მაგრამ ამ კანონის მიღებას, რომელმაც ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია, სჯობდა, ხმის რეჟისორები, კლიპმეიკერები, გამნათებლები, მემონტაჟეები, აკუსტიკის სპეციალისტები და მუსიკოსები საზღვარგარეთ გაეშვათ სასწავლებლად. ფული ამაში რომ ჩაედოთ, ცოტა ხანში ცოცხლად სიმღერის პრობლემა აღარ იარსებებდა და კონცერტებიც კარგი ჩატარდებოდა. მაგალითად, ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა კლუბებში თამაშობენ, ბევრად უკეთესები არიან, ვიდრე აქ მყოფნი, რადგან მათ იქ ისწავლეს, სადაც უკეთ ასწავლიან.

**— დათო, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს პოპულარობას?**

— პოპულარობა, ცხადია, კარგია, თუმცა ჭორები ახლავს, რომელთა უმეტესობა ბინძური, გამაღიზიანებელია. ბევრი ამბობს, რომ ჭორი არ აღიზიანებს, მაგრამ არ მჯერა მათი სიტყვების, რადგან ცუდი ჭორი ცუდ აურას ქმნის.

**— რადგან ჭორებსაც შევეხეთ, გეტყვი, აქ მოსვლამდე გავიგე, თურმე შენზეც ამბობდნენ, რომ არასწორი სექსუალური ორიენტაციის ხარ, იცოდი ეს?**

— ჭორი უსაქმურების საქმეა. ამას ბევრზე ამბობდნენ და ამბობენ კიდეც. არ ვიქნები ბანალური და არ ვიტყვი, რომ ვისაც ეჭვი ეპარება, მზად ვარ დავუმტკიცო-მეთქი და ა.შ. არც თავს ვიმართლებ — არა, მე ცისფერ ფერთან შეხება არ მაქვს-თქო. უბრალოდ, ვიტყვი, რომ „გეი" რომ ვიყო, ჩემი მეუღლე ჩემთან არ გაჩერდებოდა, ამაში გარწმუნებთ. ყველამ კარგად იცის, ვინ ვარ და როგორი სექსუალური ორიენტაციის ვარ. თუ ვინმეს გაუხარდება, ვიტყვი, რომ მომწონს მსუქანი და დაბალი კაცები (იცინის).

**— მახსოვს, ადრე თმაც შეიღებე, მაგრამ სასწრაფოდ დაუბრუნე მას პირვანდელი იერი, რატომ მოიქეცი ასე, ქერა თმას უკურეაქცია მოჰყვა?**

— არ შემიღებავს, რაღაც მუსით გავიქერავე. ჩემი თმებია, სხვისი ხომ არა. რასაც მინდა, იმას გავუკეთებ. მაგრამ ეს „გოიმი ნაროდი" ახტადახტა, გადაირია. სხვებისთვის ანგარიშში არ გამიწევია, უბრალოდ ჩემს ახლობლებს შეექმნათ პრობლემები. ვილაცა რაღაცას იტყოდა და მათ ზოგისთვის თავში ჩარტყმა უხდებოდათ. მთხოვეს, ნუ ვიქნებოდი „თეთრი ყვავი" ან „ჯორდანო ბრუნო" და ნუ გავუსწრებდი დროს, სულ ეს იყო.



**— რას იტყოდი ოჯახზე. როგორი მეუღლე ხარ, ეხმარები თუ არა ხანდახან ხატიას?**

— როგორც მეუღლე, უერთგულესი და მოსიყვარულე ვარ. ამ გრძნობებითვე მპასუხობს ხატიაც. არანაირი სურვილი არ მიჩნდება ლალატის ან მსგავსი სისულელეების ჩადენისა. თუ დრო მაქვს, არ მეზარება და გვერდშიც ვუდგევარ, ვეხმარები.

**— ალბათ, ტრადიციის მიხედვით, უპრიანია შვილებიც იყოლიოთ.**

— გვყავს კიდეც, ერთი წლის ნანუკა. მეც მგავს და ხატიასაც. მაგარი „ტიპშაა", უკვე ლაპარაკობს.

**— შენ როგორი „ტიპი" იყავი ბავშვობაში?**

— ძალიან ჩვეულებრივი, ნიჭიერი, ხუთოსანი. სხვათა შორის, დედის და მამის დამჯერე ბავშვი. აი, ახლა კი აღარავის ვუჯერებ საკუთარი თავის გარდა. სრულიად შევიცვალე, თუმცა ნიჭიერება შემომრჩა და ჩემს საქმეს დღესაც ხუთზე ვაკეთებ.

**— ჰო, მართლა, „ისტერიკა" რატომ დაგარქვეს. ამის საბაბი მიეცი ვინმეს, ალბათ?!**

— მიზეზი შეიძლება მართლაც მივეცი ვინმეს, რადგან ცოტა ნერვიული და ემოციური ვარ. ეს სახელი „შონზომ" შემარქვა, მაგრამ 5 წელი იქნება, ასე არავის მოუმართავს. ეს „კლიჩკა" უკვე ძველია, წარსულს ჩაბარდა, ხასიათში კი ყოველთვის მაქვს მოთხოვნილება რაღაც ახლის კეთებაზე.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ როცა ახალგაზრდა, ცნობილი პიროვნება მეუღლეს ირთავს, მისი პოპულარობის რეიტინგი ნაწილობრივ ეცემა?**

— ეს ასეა. მაგრამ ვინც სერიოზულად მაფასებდა, დღესაც მაფასებს. მე კი ოჯახის შექმნამ ცხოვრება დამილაგა, მყავს შვილი, მაქვს საზრუნავი, მე მომწონს ასეთი ცხოვრება.

ისე, დიდი სისულელეა, როცა 10000 გოგო ერთ ბიჭზე ოცნებობს და გულში ერთი წვეთი იმედი მაინც აქვს, რომ მასზე გათხოვდება. ხშირად ფანები თავის კერპს ახლოსაც არ იცნობენ და უბრალოდ, „ითიშებიან" მასზე. მერე კი, როცა მას ცოლი მოყავს, შესაბამისად, აღარც უყვართ იგი. ეს სასაცილოა და ფანური სიგიჟეა. ასეთ დანაკლისს როგორმე გადავიტან. პოპულარობის გემო კარგად ვიცი, ამის გამო ტელეფონის ნომერი 3-ჯერ შევიცვალე კიდეც.

**ია ჩინამძღვრიშვილი**


მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ.: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.